

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
2023 წლის
საქმიანობის ანგარიში



სარჩევი

გენერალური აუდიტორის მიმართვა	4
2023 წლის საქმიანობის ძირითადი შედეგები	6
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მისია, ღირებულებები და სტრატეგიული მიზნები	9
1. აუდიტორული საქმიანობა	10
1.1 აუდიტების ძირითადი შედეგები	11
1.2 აუდიტის რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	32
1.3 სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული ანგარიშები	35
2. ძირითად პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერება	37
2.1 თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან	38
2.2 თანამშრომლობა საქართველოს მთავრობასთან	38
2.3 თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან	39
2.4 საზოგადოებასთან ურთიერთობა	39
2.5 საერთაშორისო თანამშრომლობა	40
3. შიდა მმართველობის სისტემის გაძლიერებით ეფექტიანობის ამაღლება	43
4. თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	45
5. სამსახურის ფინანსები	49
6. მომავლის ხედვა და არსებული გამოწვევები	51
დანართები:	54
დანართი 1. 2023 წელს ჩატარებული აუდიტები	55
დანართი 2. 2023 წელს პარლამენტის აუდიტის ჯგუფის მიერ განხილული აუდიტები	57
დანართი 3. სამართალდამცავ ორგანოებში 2023 წელს გადაგზავნილი ანგარიშები/მასალები	58
დანართი 4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2023 წლის ბიუჯეტი	59
დანართი 5. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე	60

გენერალური აუდიტორის მიმართვა

წარმოგიდგენთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშს, რომელიც სამსახურის ხუთწლიანი განვითარების სტრატეგიის პირველი წლის შედეგებს მოიცავს. ამ ერთი წლის განმავლობაში სამსახურმა არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ინსტიტუციური, ორგანიზაციული და პროფესიული საერთაშორისო სტანდარტების განმტკიცების მიმართულებით.

სამსახურის 2023 წლის საქმიანობა მიმართული იყო სტრატეგიულ მიზნებთან მიმართებით SAI-PMF-ის მიერ გამოვლენილი გამოწვევების გადასაჭრელად და, ამავდროულად, უკვე არსებული მიღწევების შენარჩუნებისა და განმტკიცებისკენ.

2023 წელს სამსახური სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესში, აქტიურად განაგრძობდა წარმატებულ თანამშრომლობას ისეთ დონორ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა ევროკავშირი, მსოფლიო ბანკი, USAID და სხვა. აღნიშნული ორგანიზაციების მაღალი ნდობის გამოხატულებაა ის, რომ დღესდღეობით აუდიტის სამსახური რეგიონში მათი პროექტების აღიარებული აუდიტორია. 2023 წელს სამსახურმა დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების 3 აუდიტი ჩაატარა.

სამსახურის მიზანია მაღალი ხარისხის აუდიტორული საქმიანობით მოქალაქეებისთვის ღირებულების შექმნა და კეთილდღეობის გაუმჯობესება. აღნიშნული მიზნით, 2023 წელს სამსახურმა ჩაატარა 51 აუდიტი, მათ შორის, 15 – ფინანსური, 24 – შესაბამისობის, 2 – უწყებათაშორისი და 10 ეფექტიანობის აუდიტი.

საჯარო სექტორში არსებული სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემის მიზნით, სამსახურმა 2023 წელს 2 უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი ჩაატარა, რის ფარგლებშიც დაიფარა 13 საჯარო უწყება და გაიცა 73 რეკომენდაცია.

პარლამენტთან ურთიერთობების განმტკიცება აუდიტის ანგარიშების განხილვისა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესში უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებასა და რეკომენდაციების შესრულების მზარდ მაჩვენებელს. დარგობრივი უწყებების მონაწილეობით, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებულმა აუდიტის ჯგუფმა 2023 წელს განიხილა 23 აუდიტის ანგარიში, მათ შორის, 11 – ფინანსური, 6 – შესაბამისობისა და 6 ეფექტიანობის აუდიტი.

აუდიტის სამსახურის ძირითადი პროდუქტია აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულებით მოტანილი სარგებელი, რომელიც გამოიხატება საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებასა და მოქალაქეებისთვის ღირებულების შექმნაში. სამსახური აქტიურ კომუნიკაციაშია შემონეშებულ ორგანიზაციებთან რეკომენდაციების შესრულების პროცესში, რითაც ხელს უწყობს მათი საქმიანობის გაძლიერებას. აუდიტის სამსახური სრულად გადავიდა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონულ სისტემაზე (ARIS), რაც ასევე ქმნის შესაძლებლობას, ხელი შეუწყოს პარლამენტს საპარლამენტო ზედამხედველობის წარმატებით განხორციელებაში. არსებული მდგომარეობით, სისტემაში ჩართულია 11 სამინისტრო, ორივე ავტონომიური რესპუბლიკა, 51 მუნიციპალიტეტი და ყველა სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია. სისტემის საშუალებით რეალურ რეჟიმში მიმდინარეობს მონიტორინგი 2021-2024 წლებში გაცემულ 1,100-ზე მეტ რეკომენდაციაზე.

აუდიტის სამსახური მუდმივად ზრუნავს, რათა იყოს სამაგალითო ორგანიზაცია საჯარო სექტორში. ამის დასტურია, რომ სამსახურმა უკვე მეექვსედ მიიღო უპირობო დასკვნა PwC-ის მიერ ჩატარებული ფინანსური აუდიტის ფარგლებში. 2018 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსურ აუდიტს ახორციელებს მსოფლიოს ოთხი უმსხვილესი კერძო აუდიტორული კომპანიიდან ერთ-ერთი.



აუდიტორული საქმიანობის პარალელურად, სამსახური თავის გამოცდილებასა და რესურსს აქტიურად იყენებს საჯარო სექტორში პრევენციული მექანიზმების დანერგვის მიმართულებით, რასაც წარმატებით ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტი. მათ შორის, „მუნიციპალური განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარებული სასწავლო კურსი გაიარა მუნიციპალიტეტების 233-მა წარმომადგენელმა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფუნქციისა და დასახული სტრატეგიული მიზნების განხორციელებისთვის, მნიშვნელოვანი ფაქტორია მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი განვითარების ხელშეწყობა. 2023 წელს სხვადასხვა მიმართულებით კვალიფიკაცია აიმაღლა სამსახურის 270-მა თანამშრომელმა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მნიშვნელოვანია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიური სისტემების დანერგვა, ადაპტირება და ინტეგრირება აუდიტის პროცესში. უკვე დანერგილი უსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის არაერთი სისტემის შედეგად, 2023 წლიდან სამსახურმა დაიწყო ინფორმაციული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტის – ISO 27001-ის დანერგვის პროცესი.

ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით ჩვენ ორიენტირებული ვრჩებით სამსახურის ეფექტიანობის გაუმჯობესებაზე, რათა მაღალ დონეზე განვახორციელოთ აუდიტორული საქმიანობა და პრევენციული ხასიათის მექანიზმების დანერგვით დავძლიოთ პოტენციური გამოწვევები.

ცოტნე ყავლაშვილი
გენერალური აუდიტორი

2023 წლის საქმიანობის ძირითადი შედეგები

1. დამოუკიდებლობისა და მენეჯმენტის გაძლიერება

- 2018 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსურ აუდიტს ახორციელებს მსოფლიოს ოთხი უმსხვილესი კერძო აუდიტორული კომპანიიდან ერთ-ერთი. 2019-2020 წლებში Deloitte-ის, ხოლო 2021-2024 წლებში – PwC-ის მიერ ჩატარებული ფინანსური აუდიტის ფარგლებში უკვე მეექვსე წელია სამსახური იღებს უპირობო დასკვნას, რაც ნიშნავს იმას, რომ სამსახურის ფინანსური ანგარიშგება სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

2. აუდიტორული საქმიანობა

- ჩატარდა 51 აუდიტი, მათ შორის, 15 – ფინანსური, 24 – შესაბამისობის, 2 – უწყებათაშორისი შესაბამისობისა და 10 ეფექტიანობის აუდიტი;
- ჩატარებული 15 ფინანსური აუდიტიდან პირობითი მოსაზრება გაიცა 10 შემთხვევაში, ხოლო მოსაზრებების 27% (4 მოსაზრება) იყო უარყოფითი;
- ეფექტიანობის აუდიტების წილმა მთლიან აუდიტორულ საქმიანობაში 20% შეადგინა;
- ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელმა 89% შეადგინა;
- სამსახურმა ჩაატარა 2 უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი, რომელთა ფარგლებში თემატურად დაიფარა 13 საჯარო უწყება;
- 2023 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების 3 აუდიტი: მსოფლიო ბანკის (WB) პროექტის ეფექტიანობის აუდიტი, მსოფლიო ბანკის (WB) პროექტის ფინანსური აუდიტი და USAID-ის პროექტის ფინანსური აუდიტი;
- 2019-2023 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების 47% შესრულებულია სრულად, 27% – შესრულებულია ნაწილობრივ, 16% – მიმდინარეა და 10% – შესრულებელია;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახური სრულად გადავიდა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონულ სისტემაზე.¹ არსებული მდგომარეობით, სისტემაში ჩართულია 11 სამინისტრო, ორივე ავტონომიური რესპუბლიკა, 51 მუნიციპალიტეტი და ყველა სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია. სისტემის საშუალებით მონიტორინგი ხორციელდება 2021-2024 წლებში გაცემულ 1,100-ზე მეტ რეკომენდაციაზე.

¹ <https://aris.sao.ge>



3. ძირითად პარტნიორობთან თანამშრომლობა

თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან

- პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებულმა აუდიტის ჯგუფმა განიხილა 23 აუდიტის ანგარიში. მათ შორისაა 11 – ფინანსური, 6 – შესაბამისობისა და 6 ეფექტიანობის აუდიტი;
- მომზადდა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს წარედგინა აუდიტის რეკომენდაციების შესრულების წლიური ანალიტიკური ანგარიში.

თანამშრომლობა საქართველოს მთავრობასთან

- 2023 წელს სამართალდამცავ ორგანოებში გადაიგზავნა 21 აუდიტის ანგარიში/კონკრეტული ინფორმაცია, მათ შორის, 18 შემთხვევა ეხებოდა მუნიციპალიტეტებს;
- საქართველოს პროკურატურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში ცალკე ქვეთავი დაეთმო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ განხორციელებულ რეაგირებასა და მიღწეული შედეგების მიმოხილვას.

ჩართულობა და გეგმავიერება

- 2023 წელს სამსახურმა მიღებული მომართვების 61% გაითვალისწინა აუდიტორული საქმიანობის გეგმების შედგენის პროცესში;
- სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის უნიკალური მომხმარებლების რაოდენობამ 50 ათასს გადააჭარბა;
- სამსახურის ფეისბუქის გვერდის მომხმარებელთა რაოდენობამ 55 ათასს გადააჭარბა;
- 2023 წელს დაფიქსირდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ 1,330 ერთეული მედი-აგამომხმარებელი;
- 2023 წელს ეფექტიანობის აუდიტის ბლოგზე გამოქვეყნდა 4 პოსტი.

საერთაშორისო და ღონისძიებებთან თანამშრომლობა

- აშშ-ის მთავრობის ანგარიშვალდებულების სამსახურის აუდიტის დახელოვნების ცენტრის (GAO Center for Audit Excellence – GAO CAE) ექსპერტებმა სამსახურის 60-მდე აუდიტორს ჩაუტარეს ტრენინგკურსები სხვადასხვა მიმართულებით; ასევე მათი მენტორობით 2023 წელს ჩატარდა ორი ეფექტიანობის აუდიტი;²
- „ეკონომიკური მმართველობისა და ფისკალური ანგარიშვალდებულების“ პროგრამის ტექნიკური დახმარების პროექტის (განმახორციელებელია მსოფლიო ბანკი) მხარდაჭერით სამსახურის აუდიტორებისთვის ჩატარდა ტრენინგკურსი IPSAS სტანდარტების პრაქტიკული გამოყენების შესახებ. სამსახურის 60-მდე ფინანსური აუდიტორი ჩაერთო PwC-ის მიერ შემუშავებულ IPSAS სტანდარტების სწავლების ელექტრონულ პლატფორმაზე – IPSAS in Box;
- 2023 წელს სამსახურმა მონაწილეობა მიიღო INTOSAI-ის, EUROSAI-ისა და ASOSAI-ის 40-მდე საერთაშორისო კონფერენციასა და ვებინარში, რომელთა შორის აღსანიშნავია სახელმწიფო ვალის, დიდი მონაცემების, ადგილობრივი თვითმმართველობების აუდიტისა და კატასტროფებსა და უბედურ შემთხვევებზე მიმართული სახსრების აუდიტის სამუშაო ჯგუფების, ასევე – შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის ქვეკომიტეტების შეხვედრები;
- 2023 წელს გამოქვეყნდა სამსახურის ორი პუბლიკაცია INTOSAI-ის საჭარო აუდიტის საერთაშორისო ჟურნალში.

² სამედიცინო პერსონალის პროფესიული განვითარების ეფექტიანობის აუდიტი და აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის განვითარებისა და მართვის ეფექტიანობის აუდიტი.

4. შიდა მმართველობა და ორგანიზაციული კულტურა

- ეთიკური ღირებულებების განმტკიცების პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, 2023 წელს სამსახურის თანამშრომლებმა გაიარეს აშშ-ის ანგარიშვალდებულების სამსახურის (GAO) ექსპერტების მიერ ორგანიზებული ტრენინგი თემაზე: „ეთიკური ორგანიზაციული კულტურა: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეთიკური ჩარჩოს განხორციელების პრინციპები და პრაქტიკა“;
- სამსახურმა გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით ჩაატარა თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი;
- USAID-ის „საჯარო მმართველობის პროგრამის“ მხარდაჭერით სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაიწყო ინფორმაციული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტის – ISO 27001-ის დანერგვა.

5. თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

- თანამშრომელთა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, სამსახურმა შეიმუშავა პროფესიული საჯარო მოხელის განვითარების 2024 წლის გეგმა, რაც ემსახურება თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებასა და შესაძლებლობების გაძლიერებას;
- 2023 წელს სხვადასხვა მიმართულებით კვალიფიკაცია აიმაღლა სამსახურის 270-მა თანამშრომელმა.
- სამსახურის აუდიტორთა კორპუსის 48% ფლობს პროფესიული განვითარების დამადასტურებელ სერტიფიკატს;
- სამსახურის 95 თანამშრომელი ფლობს სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის სერტიფიკატს, 38 აუდიტორი – ACCA-ის, 16 აუდიტორი – PESA-ს სერტიფიკატს, 30 აუდიტორი – IT აუდიტის სერტიფიკატს, 2 თანამშრომელი – CFA-ისა და CFM-ის სერტიფიკატებს;
- 2023 წელს სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა ჩაატარა 42 ტრენინგკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1,264-მა მსმენელმა. საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სა-სერტიფიკაციო პროგრამა გაიარა 28 პირმა;
- სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ორგანიზებით, „მუნიციპალური განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარებული სასწავლო კურსი გაიარა მუნიციპალიტეტების 233-მა წარმომადგენელმა.



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მისია, ღირებულებები და სტრატეგიული მიზნები

მისია

დამოუკიდებელი და ხარისხიანი აუდიტორული საქმიანობით შევქმნათ ღირებულება და სარგებელი საზოგადოებისთვის, პარლამენტისა და მთავრობისთვის.

ხედვა

აღვასრულოთ ჩვენი მოვალეობა კეთილსინდისიერად და ხარისხიანად.

სამსახურის საქმიანობა დაფუძნებული იქნება შემდეგ ღირებულებებზე:

დამოუკიდებლობა და ობიექტურობა	პროფესიონალიზმი	კავშირუნაობა	გამჭვირვალობა
ჩვენი საქმიანობა ეფუძნება მიუკერძოებლობის, სამართლიანობის, სანდოობისა და ნეიტრალიტეტის პრინციპებს.	ჩვენი თანამშრომლები საქმიანობას წარმართავენ შესაბამისი პროფესიული სტანდარტების საფუძველზე, მაღალი ხარისხითა და პასუხისმგებლობით.	ჩვენი თანამშრომლები მოქმედებენ კეთილსინდისიერად, საჯარო ინტერესების გათვალისწინებით.	ჩვენ ვართ ანგარიშვალდებულნი საზოგადოების წინაშე და ხელს ვუწყობთ შესაბამისი ინფორმაციის საჯაროობას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრატეგიული მიზნები

მიზანი 1	მიზანი 2	მიზანი 3	მიზანი 4	მიზანი 5
დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება	მაღალხარისხიანი აუდიტორული საქმიანობით საჯარო ფინანსების მართვის სისტემის გაუმჯობესება	ძირითად პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერება	შიდა მმართველობის სისტემის გაძლიერებით ეფექტიანობის ამაღლება	თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა




1.

პუბლიტორული სემინარები

1.1 აუდიტის ძირითადი შედეგები

2023 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩატარა 51 აუდიტი (იხ. დანართი 1) და ჯამურად დაფარა 20 მლრდ ლარზე მეტი. ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელმა 89% შეადგინა. ჩატარდა 15 – ფინანსური, 26 – შესაბამისობისა და 10 ეფექტიანობის აუდიტი.

დიაგრამა 1. ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი (მლრდ ლარი; %).



დიაგრამა 2. 2023 წელს ჩატარებული აუდიტების განაწილება სახეობების მიხედვით.



2023 წელს ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილი დარღვევების ჯამურმა მოცულობამ 21.2 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული, ძირითადად, საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი, არაეკონომიური და არამიმზობრივი გამოყენების შემთხვევებია და არ მოიცავს აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებებით იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს.

დარღვევის კატეგორია და თანხა

შესყიდვების მართვა³ – 10.8 მლნ ლ

კაპიტალის მართვა⁴ – 1.6 მლნ ლ

საბიუჯეტო რესურსების მართვა⁵ – 8.9 მლნ ლ

სულ: 21.2 მლნ ლ

ფინანსური აუდიტის შედეგები

ფინანსური აუდიტის ფარგლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს და აფასებს საჯარო დაწესებულების ანგარიშსა და ანგარიშგებას, ასევე შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციონირებას. აუდიტის შედეგების საფუძველზე სამსახური გასცემს დასკვნას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების სისრულესა და სიზუსტეზე.

საჯარო სექტორში ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესი გარკვეული გამოწვევებით მიმდინარეობს. ამ სფეროში არსებულ სისტემურ ნაკლოვანებებზე მიუთითებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ ფინანსურ აუდიტებ-

³ მომწოდებლისათვის საჭარიმო სანქციის ან პირგასამტეხლოს დაუკისრებლობა; მომწოდებლის მიერ საჭარიმო სანქციის ან პირგასამტეხლოს გადაუხდელობა; დოკუმენტური დასაბუთების გარეშე ანაზღაურებული სამუშაოები; მომწოდებლის მიერ შეუსრულებელი ან ნაწილობრივ დასრულებული სამუშაოები; სატენდერო დოკუმენტაციაში შემზღუდავი პირობების არსებობის შედეგად არაეკონომიურად გახარჯული თანხები.


⁴ იჯარით გაცემულ სახელმწიფო ქონებაზე გადაუხდეელი საიჯარო ქირა; ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან ბიუჯეტში მიუმართავი სახსრები; საიჯარო ქირის გარეშე სარგებლობაში გადაცემული სახელმწიფო ქონება.

⁵ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე საბაზრო ღირებულებაზე მეტი ოდენობით თანხების ანაზღაურება; შესყიდული საქონლის/მომსახურების გამოყენებლობა; საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ განეული ხარჯები.


ში გაცემული მოსაზრებების სტატისტიკა,⁶ რომელიც აფასებს საჯარო უწყების მიერ წარმოებული ფინანსური ანგარიშგების სისრულესა და სიზუსტეს. 2023 წელს სამსახურის მიერ ჩატარებული 15 ფინანსური აუდიტიდან, უპირობო მოსაზრება გაცა მხოლოდ ერთ შემთხვევაში, პირობითი მოსაზრება – 10 შემთხვევაში, ხოლო მოსაზრებების 27% (4 მოსაზრება) იყო უარყოფითი.

ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებით 2019-2023 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული 67 ფინანსური აუდიტიდან, 63-ში გაცემულია პირობითი ან უარყოფითი მოსაზრება; მხოლოდ ოთხი აუდიტის შემთხვევაში გამოითქვა უპირობო მოსაზრება, ანუ აუდიტის ფარგლებში არ გამოვლენილა არსებითი უზუსტობები.

დიაგრამა 3. 2019-2023 წლებში ჩატარებული ფინანსური აუდიტების ფარგლებში გაცემული მოსაზრების ტიპების სტატისტიკა.



დიაგრამა 4. 2023 წელს ჩატარებული ფინანსური აუდიტების ფარგლებში გაცემული მოსაზრების ტიპების განაწილება.



საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ერთ-ერთი პრიორიტეტია სახელმწიფო სახსრების მართვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების კუთხით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება. აღნიშნული მიზნით 2009 წლიდან დაიწყო საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) სრულად დანერგვას. მიუხედავად რეფორმის ფარგლებში განხორციელებული მრავალი აქტივობისა, საბიუჯეტო ორგანიზაციებში ფინანსური ინფორმაციის აღრიცხვა-ანგარიშგების კუთხით ისევ შეინიშნება სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები, რომელთა გამომწვევი მიზეზებიდან აღსანიშნავია:

⁶ ფინანსურ აუდიტში სახელმწიფო აუდიტის სამსახური გამოთქვამს ოთხი ტიპის მოსაზრებას:

- უპირობო მოსაზრება – აუდიტის ფარგლებში არ გამოვლენილა არსებითი უზუსტობები;
- პირობითი მოსაზრება – აუდიტის ფარგლებში გამოვლენილი უზუსტობები ფინანსური ანგარიშგებისთვის არსებითია, მაგრამ არა – ყოვლისმომცველი;
- უარყოფითი მოსაზრება – აუდიტის ფარგლებში გამოვლენილი უზუსტობები ფინანსური ანგარიშგებისთვის არსებითიცაა და ყოვლისმომცველიც;
- უარი მოსაზრების გამოთქმაზე – აუდიტორებს არ შეუძლიათ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, რომელთაც დაეყრდნობა მათი მოსაზრება.

- ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ნაკლებ პრიორიტეტულობა საჯარო სექტორში;
- პერსონალის კვალიფიკაცია საჯარო სექტორში, მათ შორის, აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) მიმართულებით;
- ფინანსური რესურსის ნაკლებობა, რაც საჭიროა აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესებისათვის.

აუდიტის სამსახურმა გააანალიზა 2023 წელს ჩატარებული ფინანსური აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი დარღვევები და გამოკვეთა ისეთი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები, რომლებიც მნიშვნელოვანი და აქტუალურია საბიუჯეტო ორგანიზაციების დიდი ნაწილისთვის. დარღვევები შეიძლება დაჯგუფდეს 4 სისტემურ საკითხად:

- აქტივების მართვა;
- მოთხოვნები და ვალდებულებები;
- აღრიცხვა-ანგარიშგება;
- ზოგადი კონტროლის მექანიზმები.

აქტივების მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ფინანსური აუდიტების ფარგლებში აქტივების მართვის კუთხით გამოვლენილი ნაკლოვანებების მაგალითებია:

- ფინანსურ ანგარიშგებაში აღურიცხავი ან ნულოვანი ღირებულებით აღრიცხული აქტივები;
- აქტივები, რომლებსაც არ ფლობს ან არ განკარგავს ორგანიზაცია, გამოუსადეგარია მოხმარებისთვის და აღურიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში;
- აქტივები, რომლებიც აღურიცხულია არასწორი კლასიფიკაციით ან არასწორი ღირებულებით;
- ინვენტარიზაციის ჩატარების პროცესთან დაკავშირებული ნაკლოვანებები.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სსდ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში „მატერიალური მარაგების“ მუხლის ნაშთი შეადგენს 5.7 მლნ ლარს, საიდანაც 3.3 მლნ ლარის მარაგი წარმოადგენს

დროებით ხიდებს, რომლებიც გამოიყენება მრავალჯერადად. აღნიშნული ხიდები აკმაყოფილებს ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტომ 2019 წელს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეიძინა სამი დანადგარი, ჯამური ღირებულებით 1.7 მლნ ლარი. აქტივები გადასაცემად იყო განკუთვნილი, შესაბამისად, არც ექსპლუატაციაშია მიღებული და ცვეთაც არ ერიცხება. აქტივის მომავალ გამოყენებასთან დაკავშირებით სააგენტოს გეგმა არ აქვს შემუშავებული.

ასევე, სააგენტოს ბალანსზე აღრიცხულია 147 ათასი ლარის დაუმთავრებელი აქტივები, რომლებიც წარმოადგენს საწარმოების პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციას. მათზე ორი წელია ბრუნვა არ ფიქსირდება და შესაძლოა არ აკმაყოფილებდეს აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სსიპ – საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურს ფინანსურ ანგარიშგებაში მის სახელზე რეგისტრირებული 117 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა აღურიცხული აქვს 50 ლარის ღირებულებით, რაც არ შეესაბამება აქტივის სამართლიან ღირებულებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ მუხლში აღურიცხული აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, საიდანაც 19.1 მლნ ლარის ნაშთი უცვლელი იყო 2020-2022 წლებში. ობიექტის განმარტებით, აღნიშნული თანხიდან 16.3 მლნ ლარის სამუშაოები დასრულებულია, თუმცა ჯერ ისევ არ არის გადაცემული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არ დასრულებულა კანონმდებლობით გათვალისწინებული 2022 წლის სავალდებულო ინვენტარიზაცია. სააგენტოს მიერ სააღრიცხვო პროგრამაში აქტივების ნაშთები ასახულია მხოლოდ ნაერთი სახით, არ არის დაყოფილი ერთეულების და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით, რის გამოც ვერ ხორციელდება ფაქტობრივი და საბუღალტრო ნაშთების შედარება და შესაბამისობის კონტროლი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სამინისტროს „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ საბოლოო ნაშთში ასახულია 2010-2013 წლებში შესყიდული 1.7 მლნ ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოების პროექტები, რომლებიც არ არის იდენტიფიცირებადი და ინვენტარიზაციის გარეშე ვერ ხორციელდება პროექტის შემდგომი გამოყენების საკითხის განხილვა. აუდიტის სამსახურმა ვერ მიიღო რწმუნება, დაკმაყოფილებულია თუ არა მათი აქტივად აღიარების კრიტერიუმები.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ფინანსური აუდიტი

მუნიციპალიტეტს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული 11 ერთეული შეზღუდული შესაძლებლობის საზოგადოებიდან, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ ანგარიშზე აღურიცხველია 7 კომერციულ ერთეულში არსებული წილები, რომლებიც ჯამურად 32 მლნ ლარს შეადგენს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფინანსური აუდიტი

ქალაქ თბილისის მერიას „ძირითადი აქტივების“ მუხლში ერიცხება 37.4 მლნ ლარის ღირებულების 74 ერთეული მიწის ფართი, რომლებზეც არ არის მითითებული ზუსტი ადგილმდებარეობა და

საკადასტრო კოდი. მუნიციპალიტეტი ქონებაზე მითითებული მონაცემებით ვერ ახდენს მიწის იდენტიფიცირებასა და არსებობის დადასტურებას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი

ინვენტარიზაციის პროცესში აღმოჩნდა, რომ განათლების სამინისტროს 2023 წლის თებერვლიდან მიღებული აქვს მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, რომლებიც არ იყო აღრიცხული.

მოთხოვნებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

მოთხოვნებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები მოიცავს ისეთი ტიპის დარღვევებს, როგორებიცაა:

- მოთხოვნები და ვალდებულებები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების კრიტერიუმებს;
- მოთხოვნები და ვალდებულებები, რომლებიც აღრიცხულია არასწორი კლასიფიკაციით ან არასწორი ღირებულებით;
- მოთხოვნები და ვალდებულებები, რომელთა არსებობასა და სისწორეზე რწმუნება ვერ იქნა მიღებული.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სსიპ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ფინანსური ანგარიშგების მოკლევადიან დებიტორულ დავალიანებებში ასახულია 1.2 მლნ ლარის მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება 2017-2020 წლებში სამართალდარღვევების ოქმებით დარიცხულ ჯარიმებს. აღნიშნულ მოთხოვნებზე 2021-2022 წლებში ბრუნვა არ ფიქსირდება. გარდა ამისა, ერთიან სახაზინო კოდზე ჯარიმებთან დაკავშირებული ჩარიცხვები 510 ათასი ლარით აღემატება ჩამოწერილ დები-



ტორულ დავალიანებებს. აღნიშნული სხვაობის იდენტიფიცირება დეპარტამენტის მიერ ვერ ხერხდება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს „ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით“ მუხლში ასახული აქვს 2018 წლამდე წარმოშობილი ვალდებულებები 2.4 მლნ ლარის ოდენობით, რომლის შესაბამისი მიმღები პირების იდენტიფიცირება და შესაბამისად, თანხების დაბრუნებაც ვერ ხერხდება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიუროს 2.1 მლნ ლარის ოდენობით სადევნო ვალდებულების წარმოშობის წელი და კრედიტორების ვინაობა არ არის იდენტიფიცირებული. ბიუროს განმარტებით, აღნიშნული საკითხი უკავშირდება ბიუროს შექმნის დროს არსებულ აღრიცხვის პრობლემებს, რის შედეგადაც ვერ ხერხდება კრედიტორების იდენტიფიცირება.

ასევე, იუსტიციის სამინისტროს აპარატის კრედიტორული დავალიანების ნაშთი მოიცავს 2005 წელს გაუქმებული მიწის მართვის დეპარტამენტის 1.1 მლნ ლარის ოდენობის ვალდებულებებს, რაც წარმოადგენს 2004 წლამდე წარმოშობილ დავალიანებებს, რომელზეც ბრუნვა არ განხორციელებულა წლების განმავლობაში, შესაბამისად, მათი დაფარვის ალბათობა დაბალია.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რეფერალური მომსახურების პროგრამის ფარგლებში აღრიცხულია 2006-2022 წლებში 1,461 ფიზიკური პირის მიმართ წარმოშობილი 24.5 მლნ ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც წარმოქმნილია საქარ-

თველოს ფარგლებს გარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების გადარიცხვით. სამინისტროს განმარტებით, დებიტორული დავალიანება აღიარდება თანხის გადარიცხვის მომენტში და მისი ჩამოწმის საფუძველია ბენეფიციარის ან/და მისი ნდობით აღჭურვილი პირის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სამინისტროს აპარატსა და სოლიდარობის ფონდში არ ჩატარებულა ინვენტარიზაცია და დავალიანებები არ არის შეფასებული საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ფინანსური აუდიტი

მუნიციპალიტეტის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მონაწილე 14 ერთეულს „მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებების“ მუხლში ერიცხება 7.8 მლნ ლარი. მერიის მოთხოვნების დიდი ნაწილი ხანდაზმულია. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, მერიას დებიტორული დავალიანების სახით 43 შემთხვევაში ერიცხება 3 მლნ ლარი, რომლებიც 2009 წლამდე პერიოდშია წარმოშობილი და რომელთა წარმოშობის მიზეზების შესახებ დოკუმენტური მტკიცებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი.

აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ფინანსური აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებით არსებულ ხარვეზებს, რაც ძირითადად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ უწყებების უმრავლესობაში არ არის შემუშავებული და დანერგილი აღრიცხვის ინსტრუქციით მოთხოვნილი სააღრიცხვო პოლიტიკა; ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ფინანსური აღრიცხვის საინფორმაციო სისტემების არსებობა ან/და მათი სწორი მოხმარება. ეს უკანასკნელი იწვევს მთელ რიგ უზუსტობებს აქტივებზე დარიცხული ცვთის გაანგარიშებაში, ნაშთებისა და ოპერაციების არასწორ კლასიფიკაციასა და/ან დროში გამიჯვნაში, ასევე უზუსტობებს – სააღრიცხვო მონაცემებში.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებში არ არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი მიდგომა სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით. სამინისტროში არ არის ფორმალიზებული საფინანსო და იურიდიულ სამსახურებს შორის კომუნიკაციის წესი და პირობები, სრულყოფილად არ ხდება სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შეფასება და ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნების, ვალდებულებების, პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების ასახვა.

ასევე, სსდ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ცვეთის ხარჯის გადათვლის შედეგად გამოვლინდა სხვაობები. კერძოდ, ძირითადი აქტივის ერთ ნაწილზე ცვეთა ზედმეტად იყო დარიცხული, ნაწილზე კი – ნაკლებობით. საერთო ჯამში 2022 წელს ზედმეტად დარიცხულმა ცვეთამ 1.9 მლნ ლარი შეადგინა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სსდ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოავლინა 6.9 მლნ ლარის სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველი ზიანი, რაც ასახა ფინანსურ ანგარიშგებაში. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს დეპარტამენტის მიერ გამოწერილი ოქმების საფუძველზე, ჯამურად 9 მლნ ლარის ზიანი გამოვლინდა, თუმცა დეპარტამენტმა შეცვალა მიდგომა და 2022 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად დაკისრებული ზიანი – 65 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, მსგავსი ოპერაციებისთვის დეპარტამენტს გამოყენებული აქვს განსხვავებული მიდგომა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2022 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით, ხელშეკრულებების საფუძველზე მისაღები პირგასამტეხლო შეადგენს 77.2 მლნ ლარსა და 129.7 მლნ აშშ დოლარს. დაკისრებული პირგასამტეხლოებიდან მისაღები შემოსავლები აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით, წარმოადგენს ადმინისტრირებადი კატეგორიის მუხლს და ინსტრუქციის მოთხოვნების მიხედვით, აღრიცხული უნდა იყოს სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც განხორციელებული არ არის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ იყო გამორიცხული (ელიმინირებული) 19.2 მლნ ლარის შიდაჯგუფური შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ ერთეულში შემავალ ორგანიზაციებს შორის განხორციელებულ ოპერაციებთან.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სამინისტროსა და დაქვემდებარებული ორგანიზაციების სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ზოგადი პრინციპების მიხედვით და არ არის მორგებული კონკრეტული ობიექტის საქმიანობის სპეციფიკას; ასევე სამინისტროს არ აქვს შემუშავებული ერთიანი სააღრიცხვო მეთოდი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად (მაგალითად, მარაგებისა და მცირეფასიანი აქტივების აღრიცხვა). გარდა ამისა, იუსტიციის სახლის სააღრიცხვო პოლიტიკა არ მოიცავს პირობითი აქტივების/ვალდებულებების და ანარიცხების აღიარებასთან დაკავშირებულ საკითხებს; ასევე არ არის გამუდმებული მარაგების აღრიცხვის მეთოდი.

საქართველოს პროკურატურის ფინანსური აუდიტი

ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციისას, ანალოგიური მუხლების განსხვავებული წარდგენის შედეგად, პროკურატურის 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში მუხლი „შემოსავლები შიდა ტრანსფერებით“ წარმოდგენილია 1.9 მლნ ლარით შემცირებულად, მუხლი „ტრანსფერები და სხვა არაკლასი-



ფიცირებული შემოსავლები“ გაზრდილია 1.9 მლნ ლარით, ხოლო მუხლი „შემოსავლები გრანტებით“ გაზრდილია 10.9 ათასი ლარით.

ასევე, 2022 წელს გენერალური პროკურატურის ცენტრალურ საწყობში მიღებული მარაგების აღრიცხვისთვის არ გამოიყენებოდა სპეციალიზებული სასაწყობო პროგრამა და არ იყო დამტკიცებული მატერიალური მარაგების სააღრიცხვო პოლიტიკა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ არ ჩატარებულა იმ უძრავი ქონების ინვენტარიზაცია, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაა და სარგებლობაში პირველადი გადაცემა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო განხორციელებული. ასევე: ა(ა)იპ – აგროსერვის ცენტრის საინვენტარიზაციო მასალებში მითითებული აქტივების ადგილსამყოფელი და მდგომარეობა არ ასახავს რეალობას, ასევე არ არის მინიჭებული საინვენტარო ნომერი ან შტრიხკოდი, ხოლო მატერიალურად პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო ორგანიზაციებს (უმაღლესი საბჭო; უმაღლესი საარჩევნო კომისია; განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სოფლის მეურნეობის სამინისტრო) არ აქვთ შემუშავებული და დანერგული საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფინანსური აუდიტი

მუნიციპალიტეტის შვიდ კონტროლირებულ საწარმოს უფიქსირდება აკუმულირებული ზარალი 670 მლნ ლარის ოდენობით. ფინანსურ ანგარიშ-

გებაში აღნიშნულ კომპანიებზე ინვესტიციები ასახულია თვითღირებულებით – 772 მლნ ლარი, რომელიც არ არის შეცვლილი წლების განმავლობაში მიღებული 670 მლნ ლარის ზარალის მაჩვენებლის შესაბამისად. შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტორის კუთვნილ წილში არ არის გათვალისწინებული 670 მლნ ლარის მოცულობის ზარალი.

ზოგადი კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების გამომწვევ მიზეზებს შორის აღსანიშნავია საბიუჯეტო ორგანიზაციებში შიდა კონტროლის მექანიზმების სისუსტე და ამ მიმართულებით, ეფექტიანი კონტროლის გარემოს უზრუნველყოფა, კერძოდ:

- დეტალური პროცესებისა და პროცედურების არარსებობა;
- ეფექტიანი მონიტორინგის სისტემების არქონა ან/და გაუმართაობა;
- ფინანსური ოპერაციების სათანადო დოკუმენტირებასა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაციაში არსებული ხარვეზები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს არ აქვს დადგენილი საწვავის ლიმიტების თვიური ოდენობა. ბრძანება განსაზღვრავს თითოეული ავტომობილის მიერ წლის განმავლობაში მხოლოდ ჯამურად ასათვისებელ მოცულობებს. აღნიშნული პრაქტიკა არ იძლევა ხარჯის სრულყოფილი ანალიზის შესაძლებლობას და ართულებს კონტროლის პროცესს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის სამინისტრო და სპეციალური პენიტენციური სამსახური კანონმდებლობის შესაბამისად ითვლება კრიტიკული ინფორმაციის სისტემის სუბიექტებად, მათ არ გააჩნიათ ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი „ინფორმაციული

უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რაც მნიშვნელოვნად ზრდის რისკებს ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით.

ასევე, სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განხორციელებული ხაშურის იუსტიციის სახლის მშენებლობის პროცესი კონტრაქტორი კომპანიის მხრიდან მიმდინარეობდა ხარვეზებით. მშენებლობაში გამოყენებული მასალა არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულს, რამაც გამოიწვია ხელშეკრულების შეწყვეტა. მშენებლობის გაგრძელების მიზნით საჭირო იყო შენობის სრული დემონტაჟი, რაც განხორციელდა ახალი ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისად, მშენებლობისა და მისი დემონტაჟისთვის საჭირო სახსრები გაიზარდა 1.7 მლნ ლარის ოდენობით, რაც მიუთითებს კონტროლის ნაკლოვანებებზე.

შესაბამისობის აუდიტის შედეგები

შესაბამისობის აუდიტის მიზანია დაადგინოს აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესაბამისობა კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ ნორმებთან, სახელშეკრულებო მოთხოვნებსა და ორგანიზაციულ პოლიტიკასთან მიმართებით.

2023 წელს ჩატარებული 26 შესაბამისობის აუდიტის (მათ შორის, 2 უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი) ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებები შესაძლებელია დაკავშირდეს 4 ძირითადი სისტემური მიმართულებით:

შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

შესყიდვების მართვის პროცესი ნაკლოვანებებით მიმდინარეობს შესყიდვების თითქმის ყველა ეტაპზე და მოიცავს ხარვეზებს როგორც საწყის – საჭიროებების იდენტიფიცირებისა და ბაზრის კვლევის, ასევე სატენდერო პროცედურების, ხელშეკრულებების მართვის, სამუშაოების ზედამხედველობისა და მიღება-ჩაბარების განხორციელების ეტაპებზე. აღნიშნული ნაკლოვანებები

წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური, არაპროდუქტიული და არაეფექტიანი განკარგვის რისკებს.

სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ 2018 – 2020 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი

შერჩეული ხელშეკრულებების მიხედვით, რომელიც გაფორმდა ნოქალაქევის კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოცხადებულ ტენდერებში უკონკურენტო პირობებში გამარჯვებულ მიმწოდებელთან, სამუშაოთა ერთეულების ფასების გაზრდის შედეგად, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებები და შესაბამისად, საკონტრაქტო ფასები, გაზრდილია 422.4 ათასი ლარით.

უჭარმის ციხე-ქალაქის რეაბილიტაცია-კონსერვაციის სამუშაოების შესყიდვისას, სატენდერო კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, არსებობდა 72.2 ათასი ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა, ნიკორწმინდისა და უფლისციხის ობიექტებზე კი – 193.2 ათასი ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

შერჩეული ხელშეკრულებების მიხედვით, შესრულებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვები ხელოვნურადაა გაზრდილი და შესაბამისად, სამუშაოთა შემსრულებლებისათვის ზედმეტად არის ანაზღაურებული ნოქალაქევის კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე – 277.8 ათასი ლარი, ოპერის თეატრის რეაბილიტაციის სამუშაოებზე – 228.4 ათასი ლარი, გრაკლიანი გორის არქეოლოგიური მუზეუმის საგამოფენო სივრცის მოწყობის სამუშაოებზე – 20.8 ათასი ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის დროს, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ რიგ შემთხვევებში ბაზრის კვლევა სათანადოდ არ არის ჩატარებული; რიგ შემთხვევებში შესყიდვის სავარაუდო ფასი განსაზღვრულია გასულ წელს მსგავსი მომსახურების



შესყიდვის ფასის შესაბამისად, თუმცა შესყიდვის ვადის გათვალისწინებით, აღნიშნული კვლევა არავალიდურია. 2022 წელს 418 შემდგარი ტენდერიდან 75 შემთხვევაში დაფიქსირდა 20%-იანი და მეტი ფასის შემცირება. კერძოდ, განხორციელებულ ტენდერებში შესყიდვების ჯამური სავარაუდო ღირებულება შემცირდა 13.5 მლნ ლარით.⁷

ამასთანავე, სახელმწიფო შესყიდვების მართვაში არსებული ნაკლოვანებებისა და შიდა კონტროლის სისუსტის გამო, მხარჯავი დანესებულებების მიერ სახელმწიფო შესყიდვების მოსამზადებელი სამუშაოების დროს რიგ შემთხვევებში სათანადოდ არ ხდება არსებული რისკების შეფასება, რამაც ინფრასტრუქტურული პროექტების დადგენილ დროში შეუსრულებლობა გამოიწვია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტის – „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა“ ფარგლებში პროგრამების (ქვეპროგრამების) შესრულებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი

2022 წელს სამინისტრომ სამედიცინო საგნებისა და მომსახურების შესყიდვაზე გამოაცხადა 31 ელექტრონული ტენდერი, ჯამური ღირებულებით 1.3 მლნ ლარი. აქედან, არ შედგა ხუთი ტენდერი, რადგან მონაწილეობა არ მიიღო არცერთმა პოტენციურმა მიმწოდებელმა, ხოლო სამი ტენდერი უშედეგოდ დასრულდა პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის გამო. იმავე შესყიდვის საგანზე, იდენტური სატენდერო პირობებით გამოცხადებულ ახალ ტენდერებში მონაწილეობა მიიღეს სავარაუდო მომწოდებლებმა. საბოლოოდ, შედგა 790 ათასი ლარის სავარაუდო ღირებულების 23 ტენდერი, რაც მიუთითებს სამინისტროს მიერ პოტენციურ მომწოდებლებთან არასაკმარის კომუნიკაციაზე. შედეგად, ბენეფიციარებს მომსახურება დროულად ვერ მიენდათ.

შპს „სანდასუფთავების“ საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

შპს „სანდასუფთავების“ მიერ რიგ შემთხვევებში ბაზრის კვლევა განხორციელებულია არასრულყოფილად. კერძოდ, არ არის შექმნილი სრული სურათი ბაზარზე არსებული შემოთავაზებების, მათ შორის, პოტენციურ მიმწოდებელთა ვინაობის, არეალის, მათი შესაძლებლობების, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების, მიწოდების პირობებისა და ვადების, ასევე შესყიდვის სავარაუდო ღირებულების თაობაზე. აღნიშნულმა განაპირობა, რომ ცალკეულ შემთხვევებში საკონტრაქტო ფასებსა და სავარაუდო ღირებულებებს შორის ფიქსირდება მნიშვნელოვანი სხვაობები. 2021-2022 წლებში 62 შემდგარი ტენდერიდან, 14-ში სავარაუდო სატენდერო ღირებულება განისაზღვრა 1.1 მლნ ლარით. პრეტენდენტების მიერ სავარაუდო ღირებულება შემცირდა 368 ათასი ლარით (33%-ით) და 758.9 ათასი ლარი შეადგინა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდვის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის გამოუყენებლობით, ბიუჯეტში არ მოხდა დამატებით 13.4 ათასი ლარის მობილიზება.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტის მიერ რიგი ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის/რეაბილიტაციის არასათანადოდ დაგეგმვის შედეგად 5 ობიექტი დაუსრულებელია, ხოლო 1 – უფუნქციოა. აღნიშნულის შედეგად, ობიექტების სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი 336.2 ათასი ლარი გამოყენებულია არაეფექტიანად.

⁷ აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში – 954.9 ათასი ლარით; აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში – 35 ათასი ლარით; აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში – 1.9 მლნ ლარით; აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში – 10.6 მლნ ლარით.

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტმა 3 გამართული შესყიდვით შეისყიდა სამშენებლო სამუშაოები, საერთო ღირებულებით 135.1 ათასი ლარი. მერიამ სამუშაოები ჩაიბარა და ანგარიშსწორება განხორციელა ფაქტობრივი დანახარჯების დადასტურების გარეშე.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვაში არსებული ხარვეზების შედეგად, მუნიციპალიტეტმა არაეფექტიანად დახარჯა 104.1 ათასი ლარი და ვერ მიაღწია პროექტების განხორციელებით განსაზღვრულ შედეგებს. კერძოდ, ზოგიერთი ინფრასტრუქტურული პროექტი არაა დასრულებული და მოსახლეობა ვერ იყენებს.

გესტაფონის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტში სამუშაოების დასრულების ვადების დარღვევის ან/და ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულებისთვის მიუღებელმა და ასევე დაურიცხავმა ჯარიმებმა ჯამურად 263.9 ათასი ლარი შეადგინა. საჯარიმო სანქციების აღმინისტრირების კუთხით მერიას სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 2021-2022 წლებში გაფორმებული 60 ხელშეკრულების შემთხვევაში, საერთო ღირებულებით 10.6 მლნ ლარი, მიმწოდებლებს სამუშაოების გეგმა-გრაფიკის შეუსაბამოდ განხორციელების გამო დაერიცხათ 610.6 ათასი ლარის ოდენობის ჯარიმა. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტმა ამოიღო მხოლოდ 8.6 ათასი ლარი.⁸ ამასთანავე, ჯარიმის გადაუხდელობისას მერიამ არ მიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არაკეთილსინდისიერი მიმწოდებლების შავ სიაში დასარეგისტრირებლად.

ასევე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენებლობის გამო, 12-დან 9 შეწყვეტილ ხელშეკრულებაზე გაუვრცელებელმა სანქციამ 46.3 ათასი ლარი შეადგინა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მართვაში არსებული სუსტი კონტროლის მექანიზმების გამო, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები დაუსრულებელია. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულებების შეწყვეტის შემდეგ მიღებული ზიანის საკომპენსაციოდ ვერ მიიღო 278.3 ათასი ლარის საგარანტიო და საჯარიმო თანხები.

აქტივების მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

აქტივების მართვასთან დაკავშირებული სისტემური ხასიათის დარღვევებია: აქტივების არაეფექტიანი გამოყენება, ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის პროცედურებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები, ბიუჯეტში მიუმართავი სახსრები და სხვ.

შპს „სანდასუფთავების“ საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

შპს „სანდასუფთავების“ შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა კომერციული ბანკების ანგარიშებზე არსებული ნაშთიდან მიღებული საპროცენტო სარგებელი. 2021-2022 წლებში 1 იანვრის მდგომარეობით, სხვადასხვა ბანკში კომპანიას ერიცხებოდა თავისუფალი ფულადი სახსრების ნაშთი 8.7 მლნ ლარის მოცულობით, ხოლო ფულადი სახსრების ბრუნვა შეადგენდა 28.2 მლნ ლარს. ამ პირობებში კომპანიამ მიიღო საპროცენტო სარგებელი 1.5 მლნ ლარის ოდენობით. სხვა კომერციულ ბანკებში, სადაც საპროცენტო სარგებლის მიღება ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ იყო, კომპანიას ნაშთად ერიცხებოდა 1.8 მლნ ლარი, ხოლო ბრუნვა შეადგენდა 25.4 მლნ ლარს.

⁸ 2023 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, ჯარიმის სახით, დამატებით ამოიღო 87.6 ათასი ლარი.



ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მერიის მიერ უკანონო მშენებლობების აღკვეთის მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა ვერ უზრუნველყო უნებართვო მშენებლობების შეჩერება და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უკანონო გამოყენება, რაც ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე მშენებლობების ზედამხედველობასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სისტემის არსებითი სისუსტეა.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

ქალაქ ახალქალაქში ზოგიერთ ქონებას არაუფლებამოსილი ფიზიკური/იურიდიული პირები იყენებდნენ კომერციული დანიშნულებით, მუნიციპალიტეტთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე. მერია ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის პროცესის კანონშესაბამისად წარმართვას.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

2019 წელს მერიას უსასყიდლოდ გადაეცა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე 1.1 მლნ ლარად შეფასებული 44 კონტეინერი, მათში განთავსებული შესაბამისი ინვენტარით. ქონების შენარჩუნების მიზნით, 2019-2023 წლებში მერია ყოველწლიურად შეისყიდოდა დაცვის მომსახურებას, რისთვისაც ჯამში გადახდილია 197 ათასი ლარი. 2021 წელს აღნიშნულ ტერიტორიაზე დაფიქსირდა ძარცვის ფაქტი. მიუხედავად იმისა, რომ დაცვის კომპანიამ აღნიშნული ქურდობის ფაქტი ვერ გამოავლინა, მერიას არ მიუმართავს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით; ასევე მუნიციპალიტეტის მხრიდან არ დადგენილა ადგილზე დარჩენილი მატერიალური ფასეულობების რაოდენობა და ღირებულება.

ასევე, 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტი ადმინისტრირებას უწევდა 26 საიჯარო ხელშეკრულებას, თუმცა სრულად ვერ იღებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემოსავლებს. კერძოდ, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს არ მიუღია ჯამურად 24.4 ათასი ლარის შემოსავალი. მოქმედი საიჯარო ხელშეკრულებებიდან, ყველა შემთხვევაში, მერიამ ობიექტები იჯარით გასცა

პირდაპირი განკარგვის წესით. შესაბამისად, ქონების განკარგვის პროცესში ვერ იქნა უზრუნველყოფილი გამჭვირვალობა, დაინტერესებული პირების ინფორმირებულობა და კონკურენტულ გარემოში ფასის დადგენა.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

2021-2022 წლებში მოქმედი 113 საიჯარო ხელშეკრულებიდან 27 შემთხვევაში ქონება გაცემულია პირდაპირი განკარგვის წესით, რითაც შეიძლება ვაჭრობის კონკურენტულ/გამჭვირვალე გარემოში წარმართვით ქონებიდან მაქსიმალური სარგებლის მიღების შესაძლებლობა.

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 65 საიჯარო ხელშეკრულების შემთხვევაში მუნიციპალიტეტს არ მიუღია სულ 207.4 ათასი ლარის ოდენობის შემოსავალი; ასევე მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2019 წლებში გაფორმებული გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულებების უმეტესობა ითვალისწინებდა ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, საიჯარო ფასის პერიოდულ გადასინჯვას. მუნიციპალიტეტს არ უმსჯელია იჯარით გაცემული ქონების საიჯარო ღირებულების გადახედვისა და საბაზრო ფასებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

საბიუჯეტო რესურსის მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილი საბიუჯეტო რესურსების მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები მოიცავს საჯარო უწყებების მიერ ბიუჯეტის არარაციონალურად და არამიმზნობრივად გამოყენების შემთხვევებს.

დევნილთა საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის 2020-2021 წლების შესაბამისობის აუდიტი

თბილისში დევნილთა საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მიზნით საცხოვრებელი ფართების შესყიდვისას, დაუსაბუთებლად გაიზარდა სახელშეკრულებო ღირებულება, რამაც გამოიწვია 302.9 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვა. გორში დევნილთა საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში, მიზანშეწონილი გადანაწევრების

მიღების გამო, დაიკარგა 120 ათასი აშშ დოლარის ოდენობის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

რიგ შემთხვევებში, დევნილი ოჯახების გრძელვადიანი განსახლების საჭიროების სრულყოფილი შესწავლისა და ასევე, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის მიერ კრიტერიუმის გამოყენების გარეშე მიღებული არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებების შედეგად, საცხოვრებლით დაკმაყოფილება წარმოება და შეფასების ჯამური ქულის გაუთვალისწინებლად. ასევე, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის გადაწყვეტილებების შედეგად, საცხოვრებლით დაკმაყოფილებული არიან ოჯახები, რომლებიც საკითხის განხილვის მომენტისთვის არ საჭიროებდნენ გრძელვადიან განსახლებას.

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციების მიერ განხორციელებული საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციების მიერ აუდიტის პროცესში ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ფორმალური დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა სანავის ჩასხმისა და ავტომობილების სამსახურებრივი საჭიროებისათვის გამოყენების აუცილებლობას.

სსიპ – ფინანსური მონიტორინგის სამსახურის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

2021 წელს დანამატის სახით სამსახურის თანამშრომლებზე გაიცა 196.8 ათასი ლარი, ხოლო 2022 წელს – 196.4 ათასი ლარი. სამსახურის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, თუ რა სახის ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება დაევალით თანამშრომლებს; ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი ასეთი სახის სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

სსიპ – აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მომსახურების სააგენტოს პროგრამების შესრულებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი

სააგენტოს მიერ შესაბამისი ნებართვის გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შე-

უსაბამოდ, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმდა 35 პირი, რომლებზეც ჯამურად გაიცა 177.5 ათასი ლარის ოდენობის ანაზღაურება.

შპს „სანდასუფთავების“ საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

კომპანიის მიერ ფაქტობრივად დადგენილ ნორმასთან შეუსაბამოდ ჩამოწერილია 147.8 ათასი ლიტრი სანავი. კერძოდ, 2021-2022 წლებში, 22 ავტომობილზე 94.7 ათასი ლიტრი სანავის ნორმის შესაბამის ხარჯვაზე არაა წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნები; ასევე, კომპანიას ფიზიკური პირებიდან 43 შემთხვევაში უსასყიდლო სარგებლობაში, თხოვნის ფორმით მიღებული აქვს ავტომობილები, რომლებიც მიმაგრებულია თანამშრომლებზე და გამოყოფილია სანავის ხარჯვის ლიმიტი. ავტომანქანების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენება არ დასტურდება, თუმცა ჩამოწერილია 52.8 ათასი ლიტრი სანავი.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

2021 წელს სოფელ ვეჯინში ტურისტების მომსახურებისთვის მოეწყო ობიექტი, ღირებულებით 38.4 ათასი ლარი. ობიექტი არ ფუნქციონირებს და მისი ექსპლუატაციისთვის საჭიროა დამატებითი სამუშაოების შესრულება.

ასევე, 2022 წელს სოფელ კოლაგში მოეწყო სკვერი, ღირებულებით 19 ათასი ლარი. ობიექტი მდებარეობს დაუსახლებელ ადგილას, სოფლიდან მოშორებით და მოსახლეობა ვერ იყენებს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

ბორჯომის ისტორიულ პარკში ვიზიტორთა შესვლა წარმოებს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით. საბიუჯეტო ორგანიზაცია არ აწარმოებს სალაროს წიგნს, რაც წარმოშობს ფულადი თანხების არასწორად აღრიცხვის რისკს. ვიზიტორთა აღრიცხვის სისტემის გასაუმჯობესებლად 2015 წლიდან დამონტაჟებულია ტურნიკეტები, რაც არ ფუნქციონირებს. გარდა ამისა, 2021-2022 წლებში მოქმედი 66 საიჯარო ხელშეკრულებიდან, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 35 ხელშეკრულების ფარგლებში



სრულად არ იქნა გადახდილი საიჯარო თანხა, ჯამურად 107.4 ათასი ლარის მოცულობით.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

სასამართლო დავის მიმდინარეობისას, მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირები არ გამოცხადდნენ სასამართლოში, რითაც მუნიციპალიტეტმა დაკარგა საკუთარი ინტერესების დაცვის შესაძლებლობა. სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მერიას დაეკისრა მიმწოდებლისთვის 19.5 ათასი ლარის გადახდა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

სასამართლო დავის მიმდინარეობისას, მუნიციპალიტეტის მიერ საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო (შესაგებლის წარუდგენლობა), სასამართლომ მტკიცებულებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რითაც მერიას დაეკისრა მიმწოდებლისათვის 520 ათასი ლარის გადახდა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ შპს-ებში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის არასწორად წარმართვის შედეგად, ხელფასის სახით ზედმეტად გაცემულია 266 ათასი ლარი.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

ა(ა)იპ – ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურში 2019-2022 წლებში საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივად ხარჯვის შედეგად ზედმეტად გადახდილია 152 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტებში დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

მუნიციპალიტეტებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება. კერძოდ, 2023 წელს აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილი 13 მუნიციპალიტეტიდან – 11-ის შემთხვევაში,⁹ იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ 2021-2022 წლებში გადაუხდელობა დასუფთავების მოსაკრებელმა ჯამურად 1.4 მლნ ლარი შეადგინა.

მუნიციპალიტეტებში დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

2023 წელს შესწავლილი 13 მუნიციპალიტეტიდან 9 მუნიციპალიტეტმა,¹⁰ 2021-2022 წლებში საკუთარი ფინანსური რესურსი გამოიყენა დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. შედეგად, მუნიციპალიტეტებმა დამატებით დახარჯეს ჯამურად 1.9 მლნ ლარი, რაც საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ გაწეულ ხარჯს წარმოადგენს.

ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციების მიერ განხორციელებული საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

2021 წლიდან რეგიონების განვითარების სტრატეგია აღარ განახლებულა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს რეგიონების პოტენციალის სრულად ათვისებასა და არსებული გამოწვევების გადაჭრაზე.

ასევე, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებს მთავრობის მიერ არ განესაზღვრა სამოქ-

⁹ ყაზბეგის, ნინოწმინდის, თეთრიწყაროს, ზესტაფონის, დმანისის, გურჯაანის, გარდაბნის, ახალციხის, ახალქალაქის, ადიგენისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტები.

¹⁰ ყაზბეგის, ნინოწმინდის, თეთრიწყაროს, ზესტაფონის, დმანისის, გურჯაანის, გარდაბნის, ახალქალაქისა და ადიგენის მუნიციპალიტეტები.

მედო გეგმების მომზადებისა და შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშგების ვალდებულება, სადაც ასახული იქნებოდა წლის განმავლობაში დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობები.

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ შესაბამისობის აუდიტი

კომპანიის მიერ ბუნებრივი გაზის ხარისხის გაზომვის პროცედურები არ არის სრულად შესაბამისობაში ქსელის წესებით დადგენილ მოთხოვნებთან, რაც კომპანიის მიერ ტრანსპორტირებული ბუნებრივი გაზის ხარისხის დაცვის, გაზსადენი მიწებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის დაზიანების რისკებს წარმოშობს.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტმა სოციალური დახმარების მიზნით 15 სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში დახარჯა 4.6 მლნ ლარი, საიდანაც 3,461 ბენეფიციარზე 500.1 ათასი ლარი გაცემულია „განსაკუთრებულ შემთხვევებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მცხოვრებ, უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბენეფიციარების 100 ლარიდან არაუმეტეს 500 ლარამდე დახმარებას. ქვეპროგრამის ფარგლებში დადგენილია მხოლოდ გასაცემი თანხის რაოდენობა და არ არის განსაზღვრული ბენეფიციარების შერჩევის კრიტერიუმი. შესაბამისად, დახმარების მიმღებ პირებზე გასაცემი კონკრეტული თანხის ოდენობას შესაბამისი კომისია საკუთარი შეხედულების მიხედვით ადგენდა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტში უნებართვო მშენებლობისთვის გამოვლენილი და დაჯარიმებულია 102 პირი. მერიის მიერ მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგის არსებული სისტემა გაუმართავია, რაც ვერ უზრუნველყოფს

უკანონო მშენებლობების დროულ გამოვლენას. კერძოდ, მერიამ გამოავლინა უნებართვო მშენებლობის 53 შემთხვევა და შესაბამისი პირები დააჯარიმა ობიექტის სამუშაოების დასრულების ეტაპზე ან როდესაც სამშენებლო სამუშაო დასრულებული იყო და ობიექტი ფუნქციონირებდა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტში არსებობს საერთო მიზნებისა და ამოცანების მქონე ერთი და იმავე პროფილის რამდენიმე ა(ა)იპ. მაგალითად, 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა კულტურისა და განათლების მიმართულების 6 სხვადასხვა ა(ა)იპ. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებში დასაქმებული პირები ერთდროულად მუშაობენ 2-4 სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში.

მუნიციპალიტეტებში წყალმომარაგების სისტემების მოწყობის ნაკლოვანებები

მუნიციპალიტეტებში ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილი ერთ-ერთი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებაა წყალმომარაგების სისტემების გაუმართავი ფუნქციონირება. კერძოდ, გარკვეულ შემთხვევებში მოსახლეობის ნაწილს წყალი არ მიეწოდება ან მიეწოდება შეფერხებით; ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში, სასმელი წყალი არ იწმინდება, არ მოწმდება მიწოდებული წყლის ხარისხი ან/და ჩატარებული ლაბორატორიული კვლევებით დადგინდა, რომ სასმელი წყლის ხარისხი შეუსაბამოა სტანდარტებთან. ამასთანავე, თეთრიწყაროს, დმანისის, გურჯაანის, ბორჯომის, ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტებში სასმელი წყლის მიწოდებაზე პასუხისმგებელი იურიდიული პირები არ ფლობენ საქმიანობის შესაბამის ლიცენზიას, ხოლო ზესტაფონის, ნინოწმინდის, გარდაბნისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში არ ფუნქციონირებს შესაბამისი პროფილის პასუხისმგებელი იურიდიული სუბიექტი.



ეფექტიანობის აუდიტის შედეგები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრიორიტეტული მიმართულებაა ეფექტიანობის აუდიტი, რომელიც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია საჯარო უწყებების მიერ განხორციელებული პროგრამებით/ღონისძიებებით მიღწეული შედეგებისა და ამ პროცესში საბიუჯეტო რესურსის გამოყენების ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის შესაფასებლად. ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება ხელს უწყობს საჯარო მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებას. აუდიტის სამსახურმა 2023 წელს ჩაატარა 10 ეფექტიანობის აუდიტი.

2023 წელს ჩატარებული ზოგიერთი ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში გამოვლენილი შედეგებია:

აუდიტის დასახელება:	სამხედრო განათლების სისტემის ეფექტიანობის აუდიტი
სახელმწიფო სექტორი:	თავდაცვა
აუდიტის პერიოდი:	2020-2021 წლები
აუდიტის ობიექტი:	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

თავდაცვისუნარიანობის განვითარების ერთ-ერთი საწყისი და მნიშვნელოვანი წინაპირობაა სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა შესაბამისი განათლებითა და საბრძოლო მომზადებით უზრუნველყოფა. სამხედრო განათლების მიმართულებით უკანასკნელ პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა რეფორმა, რომლებიც ითვალისწინებს საქართველოში თანამედროვე მოთხოვნებთან თავსებადი, მაღალპროფესიული, ბრძოლისუნარიანი თავდაცვის ძალების ჩამოყალიბებას. შესაბამისად, აუდიტის სამსახურმა შეისწავლა, რამდენად უზრუნველყოფს თავდაცვის სამინისტროს მიერ სამხედრო განათლების მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები დასახული მიზნების მიღწევას.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

მიგნება: დაწყებით სამხედრო განათლებასთან დაკავშირებით გამოვლინდა, რომ ლიცეუმის წესდებით მკაფიოდ არ არის გაცხადებული მისი მთავარი დანიშნულება – მოამზადოს მოსწავლეები ეროვნული თავდაცვის აკადემიაში შემდგომი სწავლისთვის და საქართველოს თავდაცვის ძალებში მომავალი კარიერისთვის, რაც რეალურად სამხედრო სკოლის მთავარი დანიშნულება უნდა იყოს, კადეტის მიერ პირველადი სამხედრო ცოდნისა და უნარების შეძენასთან ერთად. 2017-2020 წლების ანალიზით, ჩარიცხული მოსწავლეებიდან დროის სხვადასხვა ეტაპზე საშუალოდ 40%-მა შეწყვიტა სწავლა და ამოირიცხა ლიცეუმიდან. შედეგად, ლიცეუმდამთავრებულ აბიტურიენტთა საშუალოდ 50-60% აგრძელებს სწავლას სხვადასხვა სასწავლებელში და არა ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში. ამასთანავე, 2016-2018 წლებში კადეტთა სამხედრო ლიცეუმდამთავრებული 215 კადეტიდან ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ჩაირიცხა 103 (48%). აქედან, აკადემია დაასრულა 59-მა პირმა (57%), რომელთაგან დღეის მდგომარეობით თავდაცვის ძალებში ირიცხება 50 ოფიცერი. აღნიშნული მაჩვენებლები არ არის ეფექტიანი და ვერ უზრუნველყოფს სამინისტროს სა მოქმედო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას. ამასთანავე, კადეტებისთვის არ არის შემუშავებული და დანერგული შესაბამისი შეღავათები/სარგებელი, გააგრძელონ სწავლა სამხედრო მიმართულებით ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში.

რეკომენდაცია: სამხედრო განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფის, ხარისხის გაუმჯობესებისა და საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი ხარჯის თავიდან აცილების მიზნით:

- მიზანშეწონილია, ლიცეუმის წესდებაში მკაფიოდ განისაზღვროს სამხედრო სკოლის მთავარი დანიშნულება – მოამზადოს მოსწავლეები ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში შემდგომი სწავლისთვის და საქართველოს თავდაცვის სისტემაში მომავალი კარიერისთვის.
- მიზანშეწონილია, გამოცდების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, ლიცეუმს ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს ოფიციალური ინფორმაცია კადეტების მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ, რაც შესაძლებლობას მისცემს, სამომავლოდ ყურადღება გაამახვილოს იმ საგნებზე, რომლებშიც კადეტები შედარებით დაბალ ქულებს იღებენ.
- მიზანშეწონილია, ლიცეუმმა განახორციელოს სწავლის სხვადასხვა ეტაპზე კადეტთა სასწავლებლიდან ამორიცხვის მიზეზების მოკვლევა; მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით კი, განახორციელოს სისტემატური მუშაობა კადეტებთან, როგორც ლიცეუმში მიღების ეტაპზე, ასევე სწავლის სრული პერიოდის განმავლობაში.
- ლიცეუმის დამთავრების შემდგომ, კადეტების მიერ ეროვნული თავდაცვის აკადემიაში საწყისი სამხედრო განათლების გაგრძელების და სწავლის უწყვეტობის პრინციპის შენარჩუნების მიზნით, მიზანშეწონილია გაგრძელდეს კადეტებისთვის შესაბამისი წამახალისებელი მექანიზმების შემუშავებისა და დანერგვის პროცესი – ეროვნული თავდაცვის აკადემიაში სამხედრო განათლების მისაღებად.

მიგნება: საწყისი სამხედრო განათლების პროგრამას ახორციელებს სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, სადაც სამხედრო განათლება ინტეგრირებულია აკადემიურ განათლებასთან. ბაკალავრიატის დონეზე აღნიშნული მოიცავს ოფიცრის საწყისი სამხედრო და აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს. მაგისტრატურის დონეზე – ოფიცრის შუალედური სამხედრო (სამეთაურო-საშტაბო) განათლებისა და აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის ინტეგრაციას.

თავდაცვის ძალების ოფიცრებით შევსების ერთადერთ წყაროს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში არსებული საბაკალავრო პროგრამებისა და ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსდამთავრებულები წარმოადგენენ. აღნიშნულ პროგრამებზე განსაზღვრული კვოტები და კურსდამთავრებულთა რაოდენობა სრულად ვერ უზრუნველყოფს თავდაცვის ძალების ოფიცრებით დაკომპლექტებას საჭიროების შესაბამისად. აკადემიაში არსებულ სამაგისტრო პროგრამებზე ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია პროგრამებზე ჩარიცხვისთვის დანესებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით და უწყებათა შორის არასათანადო კოორდინაციით.

რეკომენდაცია:

- საქართველოს თავდაცვის ძალებში ოფიცერთა ვაკანსიების შევსების მიზნით, მიზანშეწონილია თავდაცვის ძალების დაკომპლექტების სხვა წყაროს – რეზერვის უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსის დროული ამოქმედება.
- აკადემიის კურსდამთავრებულთა მაჩვენებლის გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილია აკადემიამ აღრიცხოს და დოკუმენტური კვლევის საფუძველზე შეისწავლოს იუნკერთა/მსმენელთა გადინების მიზეზები და განახორციელოს შესაბამისი საპასუხო ღონისძიებები.
- აკადემიის ასიგნებების პროდუქტიულად და მიზნობრივად ხარჯვის მიზნით, მიზანშეწონილია გადაიხედოს და დაკონკრეტდეს მისაღებ პირთა წრე და სწავლების დაფინანსების არსებული მოდელი იმ სამაგისტრო პროგრამებზე, რომლებიც არ მოიცავს სამხედრო კომპონენტს.



აუდიტის დასახელება:	ზოგადი განათლების მართვის მოდელის ეფექტიანობის აუდიტი
სახელმწიფო სპეცორი:	განათლება
აუდიტის პერიოდი:	2019-2021 წლები
აუდიტის ობიექტი:	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

2021-2024 წლების სამთავრობო გეგმის მიხედვით, მთავრობის პრიორიტეტი ზოგადი განათლების ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა, რომლის მისაღწევადაც გაიზრდება მოცემული მიმართულებით საბიუჯეტო დაფინანსება, დამტკიცდება და დაინერგება ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სტანდარტები და პროცედურები, შემუშავდება და დაინერგება სკოლების მართვისა და დაფინანსების დიფერენცირებული მოდელები. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ეფექტიანობის აუდიტი იმის დასადგენად, რამდენად უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მართვის არსებული მოდელი ზოგადსაგანმანათლებლო დანესებულებების ეფექტიან მმართველობას.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

მიგნება: ზოგადი განათლების ეფექტიანი მართვის სისტემის განვითარება სამინისტროს სტრატეგიული ამოცანაა, რომლის ერთ-ერთ კომპონენტსაც სკოლის მართვის დიფერენცირებული მიდგომის განხორციელება წარმოადგენს. მოცემული მიზნის გათვალისწინებით, სკოლების არსებული მდგომარეობის ანალიზი არ ჩატარებულა, რომელიც რელევანტურ კრიტერიუმზე დაყრდნობით უზრუნველყოფდა საჭირო რესურსების, მზაობის და შესაძლებლობის მქონე სკოლების იდენტიფიცირებას და ხელს შეუწყობდა განხილულიყო ავტონომიურობის გაზრდის შესაძლებლობა.

რეკომენდაცია: სამინისტრომ, დასახული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, შესაბამისი მხარეებთან კოორდინაციითა და რელევანტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით უზრუნველყოს სკოლების მზაობის შეფასება. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი რესურსების და შესაძლებლობების მქონე სკოლებისთვის განიხილოს დივერსიფიცირებული მიდგომის – ავტონომიურობის გაზრდის განხორციელების შესაძლებლობა, ანგარიშვალდებულების და დამატებითი მონიტორინგის მექანიზმების გათვალისწინებით.

მიგნება: დაფინანსების მოდელის არსებული ინდიკატორები სრულად არ პასუხობს სკოლებისა და მოსწავლეების რეალურ საჭიროებებს (მათ შორის, არაქართულენოვანი სექტორის/სკოლების გამოწვევებს). კერძოდ, ვაუჩერული დაფინანსება ძირითადად მიმართულია მასწავლებლების ხელფასზე და არ არის გათვალისწინებული მოსწავლეთა სრულფასოვანი განათლების მიღებისთვის სხვა სახის მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორებიცაა, მაგალითად არაფორმალური განათლება, კლასგარეშე, კულტურული და შემოქმედებითი პროექტების განხორციელება. არაქართულენოვანი სექტორის სკოლების წინაშე მდგარი გამოწვევების საპასუხოდ, სამინისტროს მხრიდან გათვალისწინებულია გაზრდილი ვაუჩერული დაფინანსება, თუმცა ეფექტიანი ღონისძიებების გასატარებლად, მნიშვნელოვანია არსებული საჭიროებების იდენტიფიცირება და დამატებითი მექანიზმების დანერგვა პროცესის მონიტორინგის მიზნით. ასევე, ვაუჩერული დაფინანსების მოდელის და მასში ინტეგრირებული კომპონენტების ფარგლებში მისაღწევი მიზანი არ არის ნათლად გაწერილი. კერძო სკოლების დაფინანსებისას არ არის გათვალისწინებული სკოლების ფინანსური შესაძლებლობები და საჭიროებები. ამასთანავე, სამინისტროსა და კერძო სკოლებს შორის არ არსებობს უკუკავშირი კერძო სკოლების მიერ მიღებული დაფინანსების გამოყენებასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია: სახელმწიფო სახსრების ეფექტიანად და პროდუქტიულად ხარჯვის მიზნით, მიზანშეწონილია არსებული დაფინანსების მოდელის გადახედვა და შემდეგი კომპონენტების გათვალისწინება:

- შეფასდეს სკოლების წინაშე (მათ შორის, არაქართულენოვანი სკოლები) არსებული გამოწვევები, მოსწავლეების საჭიროებები და დაფინანსების ფარგლებში მისაღწევი შედეგები;
- დაფინანსების ყველა ეტაპზე მკაფიოდ გაიწეროს შესაბამისი მიზანი;
- შეფასდეს კერძო სკოლების დაფინანსების მექანიზმის ოპტიმალურობა და არსებული კრიტერიუმების ეფექტიანობა საჭიროებებისა და მისაღწევი მიზნების გათვალისწინებით;
- საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსების ფარგლებში დაინერგოს კერძო სკოლების ანგარიშვალდებულების სისტემა.

აუდიტის დასაბუთება:	ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ეფექტიანობის აუდიტი
სახელმწიფო სექტორი:	ეკონომიკა
აუდიტის პერიოდი:	2020-2023 წლები
აუდიტის ობიექტები:	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; ა(ა)იპ – ოუფენ ნეტი

ხარისხიან ინტერნეტთან წვდომის თანაბარი შესაძლებლობა არა მარტო ადამიანის ფუნდამენტური უფლებების რეალიზებისთვისაა საჭირო, არამედ ქვეყნის ეკონომიკური და მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. არსებული გამოწვევების დასაძლევად უკანასკნელ წლებში სახელმწიფოს მხრიდან, საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, არაერთი ნაბიჯი გადაიდგა. ციფრული ბაზრის ჰარმონიზების პროექტის – EU4Digital ინიციატივის ფარგლებში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად, ასევე მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის მხარდაჭერით, შემუშავდა საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა. აუდიტის სამსახურმა შეისწავლა, რამდენად ქმედითაა სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებები ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისთვის.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

მიგნება: სამიზნე გეოგრაფიული არეალის შერჩევის კრიტერიუმი ეყრდნობა მოძველებულ ინფორმაციას და ვერ ასახავს მიმდინარე მდგომარეობას. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებს გარეთ რჩებიან ისეთი დასახლებული პუნქტები, რომლებიც დადგენილების თანახმად, აკმაყოფილებენ შესაბამის კრიტერიუმებს.

რეკომენდაცია: ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის გამოყოფილი რესურსების პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, მოსახლეობის ფაქტობრივი რაოდენობის დასადგენად განიხილოს ალტერნატიული საშუალებების გამოყენება (მაგალითად, გარკვეული პერიოდულობით ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებიდან განახლებული ინფორმაციის გამოთხოვა).

მიგნება: აუდიტის პერიოდში ინტერნეტპროვაიდერების მხრიდან პროგრამით დაინტერესება არ იყო მაღალი. არსებობს რისკი იმისა, რომ აღნიშნული გარემოება აქტუალური იქნება პროგრამის დასრულებისთვის, ვინაიდან დაგეგმვის ეტაპზე სათანადოდ არ შეფასებულა პროვაიდერების საჭიროებები და არ მომხდარა იმ მინიმალური პირობების იდენტიფიცირება, რომლის შემთხვევაშიც კერძო ოპერატორები იქნებოდნენ დაინტერესებულნი აღნიშნულ დასახლებულ პუნქტებში მომსახურების მიწოდებით.

რეკომენდაცია: სამომავლოდ, სამიზნე გეოგრაფიულ არეალებში ინტერნეტპროვაიდერების მოზიდვა-დაინტერესების მიზნით, განიხილოს ინტერნეტპროვაიდერებთან და ფართოზოლოვანი ინტერნეტის პოტენციურ მომხმარებლებთან ერთად იმ პირობების იდენტიფიცირების შესაძლებლობა (მაგალითად, მოსალოდნელი მოთხოვნა კონკრეტულ ინტერნეტპაკეტებზე, სავარაუდო ფასთა ნუსხა, მომსახურებაში ჩართვის მსურველი იურიდიული პირების რაოდენობა და ა.შ.), რომელიც ხელს შეუწყობს პროგრამის ფარგლებში შექმნილი ინფრასტრუქტურის გამოყენებას.

აუდიტის დასახელება:	სამედიცინო პერსონალის პროფესიული განვითარების ეფექტიანობის აუდიტი
სახელმწიფო სექტორი:	ჯანდაცვა
აუდიტის პერიოდი:	2018-2021 წლები
აუდიტის ობიექტები:	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ, სამედიცინო პერსონალის დეფიციტისა და დისბალანსის საპასუხოდ, 2016 წელს გამოაქვეყნა დოკუმენტი – „სამედიცინო პერსონალის გლობალური სტრატეგია 2030“. სტრატეგიის მიხედვით, სამედიცინო სფეროში არსებული გამოწვევების ეფექტიანად გადასაჭრელად, მნიშვნელოვანია სათანადო უნარების მქონე სამუშაო ძალის შექმნა, რომელიც უპასუხებს მოსახლეობის დღევანდელ და სამომავლო საჭიროებებს. საქართველოს სამთავრობო პროგრამის ოთხი საკვანძო მიმართულებიდან, ერთ-ერთს სოციალური პოლიტიკისა და ადამიანური კაპიტალის განვითარება წარმოადგენს, რომელიც მოიცავს ჯანდაცვის სისტემის შემდგომ განვითარებასა და ეფექტიან მართვას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა სამედიცინო პერსონალის სათანადო კვალიფიკაციისა და საკმარისი რაოდენობის უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმებისა და გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობა.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

მიგნება: დიპლომისშემდგომი სამედიცინო სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არ არის ნათლად შემუშავებული საეფიმო სპეციალობის პრიორიტეტულად განსაზღვრის მექანიზმი. არსებული მექანიზმები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს სამედიცინო სპეციალისტების საკმარის რაოდენობასა და გეოგრაფიულ მოცვას.

რეკომენდაცია: დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ქვეყანაში არსებული ექიმ-სპეციალისტების დეფიციტის თანმიმდევრულად და ეფექტიანად აღმოფხვრის მიზნით, შემუშავდეს:

- პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის კრიტერიუმი;
- დეფიციტური სპეციალობების განსაზღვრისა და აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი ღონისძიებები;
- პროგრამის შესრულების შეფასების გაზომვადი და შედეგზე ორიენტირებული, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ინდიკატორები;
- პროგრამის შესრულების კონტროლისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმები.

მიგნება: ქვეყნის მასშტაბით დაბალია პროფესიულად აქტიური ექიმების ჩართულობა უწყვეტი სამედიცინო განათლების (უსგ) პროგრამებზე როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო ნაწილში. 2021 წლის მდგომარეობით, 2018-2021 წლებში 17,632 ექიმიდან პროგრამებში მონაწილეობა მიიღო 43%-მა. 2018-2021 წლების მიხედვით, ჯამში განხორციელებული 757 უსგ-ის პროგრამიდან, 2020-2021 წლებში მონიტორინგი ჩატარდა 108 (15%) პროგრამაზე, ხოლო სავალდებულო 628 უსგ-ის პროგრამიდან – 90 (14%)-ზე.

რეკომენდაცია: უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის ეფექტიანი ფორმირებისა და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის მუდმივად ამაღლების მიზნით:

- დაინერგოს სავალდებულო უწყვეტი სამედიცინო განათლების (უსგ) მექანიზმები თითოეული სპეციალობის მიხედვით, პროფესიულად აქტიური სამედიცინო პერსონალის გათვალისწინებით;
- შემუშავდეს სამედიცინო პერსონალის მიერ სავალდებულო უსგ-ის პროგრამის კრედიტულების დაგროვების ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმები;
- შემუშავდეს უწყვეტი სამედიცინო განათლების აკრედიტებული პროგრამების მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი.

პოლიტის დასაბუთება:	სამომხმარებლო, ინდუსტრიული და სამშენებლო პროდუქტების უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი
სახელმწიფო სექტორი:	ეკონომიკა
პოლიტის პერიოდი:	2020-2022 წლები
პოლიტის ობიექტი:	სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო

ასოციირების შეთანხმების შესაბამისად, საქართველომ აიღო ვალდებულება, საკუთარი პრიორიტეტების გათვალისწინებით, ეტაპობრივად დაუახლოვოს კანონმდებლობა ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას. აღნიშნული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა და დაამტკიცა სხვადასხვა საზედამხებელო პროდუქტის ტექნიკური რეგლამენტები, რომელთა ტექნიკურ რეგლამენტებთან შესაბამისობა, საქართველოს მთავრობის გადანაცვებით, დაექვემდებარა სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს. შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ სისტემურ დონეზე შეფასდა სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობა.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

მიგნება: სააგენტო თავისი საქმიანობის დასაგეგმად და განსახორციელებლად ხელმძღვანელობს კოდექსითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით, თუმცა სააგენტოს არ გააჩნია რაიმე სახის ინსტრუქცია ან მეთოდოლოგია ბაზარზე ზედამხედველობის დასაგეგმად და განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციის კატეგორიების, მათი შეგროვების, დამუშავების და გამოყენების შესახებ.

რეკომენდაცია: ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტიანი დაგეგმვისა და განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციის განსაზღვრის, მათი შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და დოკუმენტირების ერთგვაროვანი და გამართული პროცედურების უზრუნველსაყოფად, სააგენტომ შეიმუშაოს მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს ბაზარზე ზედამხედველობის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაციის (მათ შორის, საზედამხედველო პროდუქტების საქართველოს ბაზარზე წილის, მისგან გამოწვეული დაზიანებებისა და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლების შესახებ) შეგროვების, დამუშავების, დოკუმენტირების და გამოყენების პროცედურებს.

მიგნება: ბაზარზე ზედამხედველობის პროცესთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ჭარიმების გამოყენება მიმართულია როგორც საზედამხედველო პროდუქტების, ასევე ეკონომიკური ოპერატორების განსხვავებულ და ფართო სპექტრზე, თუმცა კანონი ამის პარალელურად არ ითვალისწინებს ჭარიმების შესაფერის/პროპორციულ დიაპაზონს და ამავდროულად, მკაფიო კრიტერიუმებს, რომელთა მხედველობაში მიღებითაც მოხდება აღნიშნულ დიაპაზონში ჭარიმის კონკრეტული ოდენობის განსაზღვრა, კონკრეტული ეკონომიკური ოპერატორის მიმართ, კონკრეტული სამართალდარღვევის შინაარსის მხედველობაში მიღებით. ასევე, კანონი არ ითვალისწინებს დაჭარიმებასთან ერთად იმ მოვალეობის შესრულების დაკისრებას, რომლის შეუსრულებლობისთვისაც ხდება ჭარიმის შეფარდება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში – ჭარიმების გაზრდილ ოდენობას.

რეკომენდაცია: ბაზარზე ზედამხედველობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის დადგენილი ჭარიმისა და შემზღუდველი ღონისძიებების აღსრულების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, სააგენტომ მოამზადოს საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი და წარუდგინოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რათა განისაზღვროს სამართალდარღვევის შემაკავებელი ეფექტის მქონე ჭარიმების დიაპაზონი და ამავდროულად კონკრეტული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის ჭარიმის კონკრეტული ოდენობის განსაზღვრისთვის დადგინდეს ისეთი გასათვალისწინებელი კრიტერიუმები, როგორებიცაა: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შინაარსი, ჭარიმის ოდენობის თანაფარდობა შეუსაბამო საზედამხედველო პროდუქციის ჭამურ ღირებულებასთან, საზოგადოების დაინტერესება და სხვ. ასევე, დაჭარიმებასთან ერთად, კანონმდებლობით განისაზღვროს იმ მოვალეობის შესრულების დაკისრება, რომლის შეუსრულებლობისთვისაც ხდება ჭარიმის შეფარდება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში – ჭარიმების გაზრდილი ოდენობა.

დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების პოლიტიკა

2018 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახური საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მონარტვის საფუძველზე, ყოველწლიურად ატარებს მათ მიერ საქართველოში დაფინანსებული პროექტების აუდიტებს, რაც სამსახურის დამოუკიდებელი აუდიტორული საქმიანობის მაღალ ხარისხსა და ნდობაზე მიუთითებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ნდობა გამოუცხადეს ისეთმა საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა, როგორებიცაა, მსოფლიო ბანკი (WB) და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID).

სახელმწიფო აუდიტის სამსახური 2018 წლიდან ყოველწლიურად ატარებს მსოფლიო ბანკის პროექტის – „შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვა (SRAMP)“ დამოუკიდებელ ეფექტიანობის აუდიტს.¹¹ სწორედ აუდიტის სამსახურის დასკვნის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება პროექტის შემდგომი ტრანშის გამოყოფის შესახებ. სამსახურის მიერ განხორციელებული აუდიტების ფარგლებში დაიფარა პროექტის 2016-2022 წლების საქმიანობა. ამჟამად სამსახური ატარებს პროექტის 2023 წლის საქმიანობის შესახებ აუდიტს.

2022 წლიდან უკვე მეორედ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ასევე ჩაატარა სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული და USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის – „მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივა“ ფინანსური აუდიტი.¹² სამსახურმა ჩატარებული აუდიტის ფარგლებში გასცა უპირობო მოსაზრება.

2023 წლიდან აუდიტის სამსახური მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული კიდევ ერთი მსხვილი პროექტის – „საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის“ ფინანსურ აუდიტს ატარებს და პროგრამის ძირითადი მიმართულებით დაგეგმილი შედეგებისა და ინდიკატორების მიღწევის დამოუკიდებელ ვერიფიკაციას ახორციელებს. ვერიფიკაციის ანგარიში¹³ თან დაერთო აუდიტის სამსახურის მოხსენებას „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“. აღსანიშნავია, რომ აუდიტის სამსახურის ვერიფიკაციის ანგარიშის საფუძველზე დონორის მხრიდან მიიღება გადაწყვეტილება პროექტით გათვალისწინებული ტრანშების გამოყოფის შესახებ.

1.2 პოლიტის რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის, უმთავრესი ფუნქციაა მოქალაქეებისთვის ღირებულების შექმნა, რაც შესაძლებელია აუდიტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების დანერგვით. შესაბამისად, სამსახურის პრიორიტეტია რეკომენდაციების დროული შესრულების ხელშეწყობა პარლამენტთან და საბიუჯეტო ორგანიზაციებთან ეფექტიანი კომუნიკაციითა და თანამშრომლობით.

2019-2023 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა 3,500-ზე მეტი რეკომენდაცია, საიდანაც 24% ეკუთვნის 2023 წელს ჩატარებულ აუდიტებს.¹⁴ სტატისტიკური ანალიზით, სრულად შესრულებულია რეკომენდაციების 47%, ნაწილობრივ შესრულებულია – 27%. რეკომენდაციების 16% მიმდინარეა და ორგანიზაციების მიერ მათი საბოლოო შესრულებისთვის დაგეგმილი თარიღი ჯერ არ დამდგარა.


¹¹ შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის (SRAMP) ეფექტიანობის აუდიტი.

¹² სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტის – „მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივა“ ფინანსური აუდიტი.



¹³ „საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის“ ძირითადი მიმართულებით დაგეგმილი შედეგების და ინდიკატორების მიღწევის დამოუკიდებელი ვერიფიკაციის ანგარიში.

¹⁴ წინამდებარე ანგარიშში 2023 წლის რეკომენდაციების მაჩვენებელი მოიცავს 2023 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით განსაზღვრული იმ აუდიტების რეკომენდაციებსაც, რომლებიც დამტკიცდა 2024 წლის დასაწყისში.




დიაგრამა 5. 2019-2023 წლებში გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა.¹⁵

დიაგრამა 6. 2019-2023 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.

დიაგრამა 7. 2023 წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.¹⁶

დიაგრამა 8. 2019-2022 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური გასცემს ორი ტიპის რეკომენდაციას: მნიშვნელოვანს და სტანდარტულს. მნიშვნელოვანი რეკომენდაცია ეხება ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართულებებს და მათ შესრულებას შეუძლია არსებითი ზეგავლენის მოხდენა საჯარო ფინანსების მართვის სისტემაზე. ასეთი რეკომენდაციების შეუსრულებლობით შესაძლოა გაიზარდოს თაღლითობის, კორუფციის, სახელმწიფო ქონებისა და საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივად განკარგვის რისკები. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი რეკომენდაციების


შესრულება საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან მეტ ძალისხმევას მოითხოვს, თუმცა მათი დანერგვით მიღებული სარგებელი/ეფექტი გაცილებით მაღალია.

2019-2023 წლებში სამსახურმა გასცა 1,600-ზე მეტი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, საიდანაც სრულად შესრულებულია 48%; სტანდარტული რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი 47%-ია.


¹⁵ წინამდებარე ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების სტატისტიკა შესაძლებელია განსხვავდებოდეს გასული წლების საქმიანობის ანგარიშებში წარმოდგენილი მონაცემებისგან. კერძოდ, რელევანტურობის შესანარჩუნებლად, სამსახური პერიოდულად ატარებს გასულ წლებში გაცემული რეკომენდაციების ინვენტარიზაციას და არავალიდური რეკომენდაციების იდენტიფიცირების შემთხვევაში, ჩამოწერს მათ.

¹⁶ 2023 წლის რეკომენდაციების მაჩვენებელი მოიცავს 2023 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით განსაზღვრული იმ აუდიტების რეკომენდაციებსაც, რომლებიც დამტკიცდა 2024 წლის დასაწყისში.

დიაგრამა 9. 2019-2023 წლებში გაცემული მნიშვნელოვანი რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.




დიაგრამა 10. 2019-2023 წლებში გაცემული სტანდარტული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.



აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი რეკომენდაციები ძირითადად ეფექტიანობის აუდიტების ფარგლებში გაიცემა. შესაბამისად, ეფექტიანობის აუდიტის რეკომენდაციების მხოლოდ 27%-ია შესრულებული, ხოლო მიმდინარეა 13%. შედარებით მაღალია შესაბამისობის აუდიტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება, რომელიც 52%-ს აღწევს. შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა ფინანსური აუდიტის რეკომენდაციები, რომელთა შესრულება 58%-ია.

დიაგრამა 11. 2019-2023 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება აუდიტის სახეობების მიხედვით.



რეკომენდაციების რაოდენობის ზრდასთან ერთად სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი მართვის ქმედითი მექანიზმის არსებობას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახური მუდმივად მუშაობს ამ მიმართულებით შიდა პროცესების ეფექტიანობის ამაღლებაზე. შედეგების გაუმჯობესებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების უკეთესი მონიტორინგის მიზნით, სამსახური ჩატარებული აუდიტების შედეგად გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგს ელექტრონული სისტემის (www.aris.sao.ge) საშუალებით ახორციელებს. სისტემას მონიტორინგის პროცესი სრულად გადაჰყავს ელექტრონულ სივრცეში და უზრუნველყოფს საბიუჯეტო ორგანიზაციებთან პროაქტიულ კომუნიკაციასა და პროცესების ავტომატიზაციას.

არსებული მდგომარეობით, ელექტრონულ სისტემაში ჩართულია 11 სამინისტრო და მათ დაქვემდებარებაში მყოფი 90-მდე საბიუჯეტო ორგანიზაცია, ორივე ავტონომიური რესპუბლიკა, 51 მუნიციპალიტეტი და ყველა სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია. სისტემის საშუალებით მონიტორინგი ხორციელდება 2021-2024 წლებში გაცემულ 1,100-ზე მეტ რეკომენდაციაზე.

რეკომენდაციების შესრულების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია აღნიშნულ პროცესში პარლამენტის ჩართულობა. პარლამენტის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, სამსახურმა 2023 წელს მოამზადა რეკომენდაციების შესრულების ანალიტიკური ანგარიში, რომელიც იძლევა დეტალურ ინფორმაციას არსებული მდგომარეობის, გამოწვევების, სისტემური ხასიათის საკითხების, მათი გამომწვევი მიზეზებისა და თითოეული მხარტავი დაწესებულების მიერ რეკომენდაციების შესასრულებლად განხორციელებული ქმედებების ეფექტიანობის შესახებ.

1.3 სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული პნპარიშები

საჯარო ფინანსების მართვის პროცესში საპარლამენტო კონტროლის ხელშეწყობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული აუდიტის სამსახურის ანგარიშები. სახელმწიფო აუდიტის სამსახური საბიუჯეტო პროცესის მნიშვნელოვანი მონაწილეა და ჩართულია როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის, ასევე ბიუჯეტის შესრულების კონტროლის ეტაპებზე. კერძოდ, 2023 წელს სამსახურმა მოამზადა და პარლამენტს წარუდგინა:

- მოხსენება „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“;¹⁷
- მოხსენება „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მთავრობის ანგარიშზე“;¹⁸
- დასკვნა „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტზე (კანონპროექტის სამივე წარდგენაზე);¹⁹
- დასკვნა კანონის პროექტზე „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.²⁰

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით აუდიტის სამსახურის მოხსენებების მიზანია, შეაფასოს ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულე და სიზუსტე, ამასთანავე, გამოავლინოს საჯარო ფინანსების მართვის პროცესში არსებული სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები და ხელი შეუწყოს აღნიშნული სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების, გამტკიცებლობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას რეკომენდაციების საშუალებით. 2023 წელს მომზადებულ მოხსენებებში სამსახურმა შეისწავლა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა:

- მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და ფისკალური რისკების რეალიზების მდგომარეობა;
- „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ფისკალური წესების შესრულების მდგომარეობა;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზების მდგომარეობა;
- საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესის გამართულობა;
- კაპიტალური/საინვესტიციო პროექტების მართვა;
- სახელმწიფოს ფინანსური აქტივების მართვა;
- სახელმწიფო ვალის მართვა;
- პროგრამული ბიუჯეტის შედგენისა და ანგარიშების პროცესის გამართულობა.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის შესახებ აუდიტის სამსახურის დასკვნის მიზანია კანონპროექტში ასახული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შეფასება, ფისკალური წესების საპროგნოზო მაჩვენებლებისა და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის შესაბამისობის დადგენა, კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. სამსახურის დასკვნები ეხმარება

¹⁷ მოხსენება „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“.

¹⁸ მოხსენება „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მთავრობის ანგარიშზე“.

¹⁹ დასკვნა „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტზე.

²⁰ დასკვნა კანონის პროექტზე „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

პარლამენტს მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის პროცესში ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. 2023 წელს მომზადებულ დასკვნებში წარმოდგენილი საკითხებიდან აღსანიშნავია:

- ქვეყნის მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა და კანონპროექტში ასახული მაკროეკონომიკური დაშვებების ანალიზი;
- „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ფისკალური წესების საპროგნოზო მაჩვენებლების ანალიზი და შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან;
- მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკები და მათი გავლენის ანალიზი;

- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებისა და პროგრამებზე გამოყოფილი დაფინანსების მიზანშეწონილობის ანალიზი;
- სახელმწიფო ვალის საპროგნოზო მაჩვენებლების ანალიზი;
- პროგრამული ბიუჯეტის გამართულობა და შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნებსა და მოხსენებებში გასულ წლებში გაცემული რეკომენდაციების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საბიუჯეტო დოკუმენტების ხარისხი, შინაარსი და მათი ანგარიშგების პროცესი.

A decorative header at the top of the page consisting of ten vertical bars of equal height and width, arranged in a row. The first nine bars are light gray, and the tenth bar on the right is a vibrant green.

2.


ძირითად პარტნიორებთან
თანამშრომლობის გაძლიერება

2.1 თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მნიშვნელოვანი როლი აქვს საქართველოს პარლამენტის მიერ საჯარო ფინანსების მართვის ზედამხედველობის პროცესში. პარლამენტი აუდიტის სამსახურის ძირითადი პარტნიორი და აუდიტის ანგარიშების მთავარი მომხმარებელია. შესაბამისად, საჯარო ფინანსების მართვის სფეროში საზედამხედველო როლის გაძლიერებისა და რეკომენდაციების უკეთ შესრულების მიზნით, პარლამენტსა და მის კომიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობა სამსახურის პრიორიტეტად რჩება.

პარლამენტსა და აუდიტის სამსახურს შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვანი პლატფორმაა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებული აუდიტის ჯგუფი, რომელიც განიხილავს კონკრეტული აუდიტების შედეგებსა და რეკომენდაციებს. 2018-2023 წლებში ჯგუფმა საერთო ჯამში განიხილა 117 აუდიტის ანგარიში, მათ შორის, 2023 წელს – 23 ანგარიში (იხ. დანართი 2).

დიაგრამა 12. 2018-2023 წლებში პარლამენტის აუდიტის ჯგუფის მიერ განიხილული ანგარიშების რაოდენობა.



აუდიტის ანგარიშების განხილვასთან ერთად, პარლამენტს მნიშვნელოვანი როლი აქვს სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების პროცესში. აუდიტის სამსახურის პარალელურად, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტიც

აქტიურად ახორციელებს მის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. ამ პროცესის ეფექტიანობის ხელშეწყობისთვის აუდიტის სამსახური იყენებს არაერთ ინსტრუმენტს. კერძოდ, 2023 წელს მომზადდა და კომიტეტს წარედგინა რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის ამსახველი ანგარიში. ამასთანავე, პარლამენტის საზედამხედველო როლის გაძლიერებისა და რეკომენდაციების მონიტორინგის პროცესში უფრო აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, აუდიტის სამსახურმა პრაქტიკაში დანერგა აუდიტის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა. სისტემა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს საშუალებას აძლევს მუდმივად განახლებად რეჟიმში მიიღოს ინფორმაცია საბიუჯეტო ორგანიზაციებზე გაცემული თითოეული რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს შესაბამისი რეაგირება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის პრიორიტეტია პარლამენტის წევრებისა და აპარატის მუდმივი ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება სამსახურის საქმიანობის, სტრატეგიული მიმართულებებისა და ძირითადი შედეგების შესახებ. შესაბამისად, აუდიტის სამსახური აქტიურად მონაწილეობს როგორც ორმხრივ, ასევე დონორებისა და არასამთავრობო სექტორის მიერ ორგანიზებულ მრავალმხრივ შეხვედრებში, ინფორმაციის გაზიარებისა და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.

2.2 თანამშრომლობა საქართველოს მოქალაქეებთან

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა წლის განმავლობაში გამართა არაერთი ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრა საჯარო უწყებებთან, სადაც განხილულ იქნა აუდიტების შედეგად გამოვლენილი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა. ორგანიზაციების ხელმძღვანელობას მიეწოდა ინფორმაცია არსებული გამოწვევებისა და ძირითადი მიგნებების/რეკომენდაციების შესახებ, რომლებიც მათი მხრიდან საჭიროებს დამატებით ყურადღებას. ასევე, რეკომენდაციების

შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის (ARIS) დანერგვის პროცესში, სამუშაო შეხვედრები გაიმართა სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციისთან, სადაც განხილულ იქნა სისტემის ფუნქციონალი და მისი მოხმარების წესი.

აღსანიშნავია აუდიტის სამსახურის წვლილი მუნიციპალიტეტებში შიდა აუდიტის ფუნქციის გაძლიერებისა და ეფექტიანობის ამაღლების კუთხით. სამსახურის სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ორგანიზებით, მუნიციპალური განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ტარდება ტრენინგკურსები: „შიდა აუდიტი – მუნიციპალიტეტებისთვის“ და „რისკზე ორიენტირებული შიდა აუდიტი“. აღნიშნული სასწავლო კურსები 2019-2023 წლებში გაიარა 240-მდე საჯარო მოხელემ. კურსების სასწავლო პროგრამები მუნიციპალიტეტებში განხორციელებული აუდიტების შედეგად გამოვლენილი მიგნებებისა და გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა და მათი მიზანია, მუნიციპალიტეტებში შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერებით საჯარო ფინანსების მართვის პროცესის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

2.3 თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი დარღვევები, რომლებიც შესაძლოა შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებს, გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს, კანონმდებლობით დადგენილი შემდგომი პროცედურების განსახორციელებლად. შესაბამისად, აუდიტის სამსახურისთვის

არსებითად მნიშვნელოვანია სამართალდამცავ ორგანოებთან მჭიდრო და ეფექტიანი კომუნიკაცია, როგორც რისკის შემცველი მასალების გადაგზავნის, ასევე გადაგზავნილ საკითხებზე რეაგირების შესახებ ინფორმაციის მიღების კუთხით.

2023 წელს გენერალურ პროკურატურაში გაიგზავნა 21 აუდიტის ანგარიში/კონკრეტული ინფორმაცია, მათ შორის, 18 შემთხვევა ეხებოდა მუნიციპალიტეტებს (იხ. დანართი 3). პროკურატურისთვის მიწოდებულ საკითხებზე მონიტორინგისა და შედეგების გამჭვირვალობის კუთხით აღსანიშნავია, რომ პროკურატურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში ცალკე ქვეთავია წარმოდგენილი აუდიტის სამსახურის მიერ მიწოდებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

2.4 საზოგადოებასთან ურთიერთობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური მუდმივად ზრუნავს თანამედროვე მიდგომების შემუშავებაზე, რომლებიც გააძლიერებს მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების როლსა და ჩართულობას საჯარო ფინანსების მართვის პროცესში, ასევე გაზრდის მათი ინფორმირებულობის ხარისხს სამსახურის საქმიანობისა და ძირითადი შედეგების შესახებ.

მედიასთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და მოქალაქეებთან ეფექტიანი ურთიერთობისთვის აუდიტის სამსახური იყენებს სხვადასხვა კომუნიკაციის არხსა და ინსტრუმენტს.

სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი (WWW.SAO.GE)

50 ათასამდე უნიკალური მომხმარებელი; 500 ათასზე მეტი ნახვა; დოკუმენტების 20 ათასამდე ნახვა.

უწყებრივი აუდიტის ბლოგი (WWW.BLOG.SAO.GE)

2023 წელს ბლოგზე გამოქვეყნდა 4 პოსტი.


სოციალური ქსელი

2023 წლის ბოლოს სამსახურის ფეისბუქის გვერდის მომხმარებელთა რაოდენობამ 55 ათასს გადააჭარბა.

²¹ საქართველოს პროკურატურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში.

საზოგადოებასთან პროაქტიული კომუნიკაციის პროცესში, სამსახური უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებას წლიური აუდიტორული საქმიანობის გეგმის ფორმირებისას. აუდიტის სამსახური მუდმივად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა საკითხის შესწავლისა და აუდიტის ჩატარების შესახებ მოქალაქეების, მედიის, სამოქალაქო საზოგადოების, საკანონმდებლო ორგანოსა თუ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან. 2023 წელს სამსახურმა შემოსული მონაწილეობის უმეტესობა (61%) გაითვალისწინა აუდიტის გეგმის შედგენის პროცესში.


დიაგრამა 13. 2018-2023 წლებში სამსახურის მიერ მიღებული მონაწილეობის აუდიტის ჩატარების შესახებ, კატეგორიების მიხედვით.




საჯარო ფინანსების მართვის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების, ისევე როგორც მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა აუდიტის სამსახურის ეფექტიანი თანამშრომლობა მედიასთან. სამსახური აქტიურად მუშაობს მედიის წარმომადგენლებთან აუდიტის ანგარიშების, სამსახურის საქმიანობისა და ძირითადი პროდუქტების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული მიწოდების გზით.

ასევე, აუდიტის სამსახური აქტიურად აკვირდება მედიის სხვადასხვა საშუალების გამოხმაურებასა და ინტერესს სამსახურის საქმიანობასთან მიმართებით.

დიაგრამა 15. 2023 წელს დაფიქსირდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ 1,330 ერთეული მედიაგამოხმაურება.



დიაგრამა 14. 2018-2023 წლებში სამსახურის მიერ მიღებული მონაწილეობის გათვალისწინების მაჩვენებელი (%) წლების მიხედვით.



აუდიტის სამსახურის მიერ მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ძალისხმევა ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. სამსახური მუდმივად ცდილობს განავითაროს თანამედროვე მიდგომები, რაც გააძლიერებს საზოგადოების როლს საჯარო ფინანსების მართვის პროცესში.

2.5 საერთაშორისო თანამშრომლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას სხვა ქვეყნების უმაღლეს აუდიტორულ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან. სამსახური აქტიურად

თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან სხვადასხვა პროექტისა თუ პროგრამის ფარგლებში. 2023 წელს მიმდინარე პროექტებიდან აღსანიშნავია:

- **აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „მმართველობა განვითარებისთვის (G4G) პროგრამა“** – პროექტი მოიცავდა აუდიტის სამსახურისა და აშშ-ის მთავრობის ანგარიშვალდებულების სამსახურის აუდიტის დახელოვნების ცენტრს (GAO Center for Audit Excellence – GAO CAE) შორის თანამშრომლობის მხარდაჭერას. ამერიკელი ექსპერტები წლის განმავლობაში ორი სამუშაო ვიზიტით ეწვივნენ აუდიტის სამსახურს და 60-მდე აუდიტორისათვის ჩაატარეს 8 ტრენინგკურსი სხვადასხვა მიმართულებით; ასევე მათი მენტორობით ჩაატარდა ორი ეფექტიანობის აუდიტი;²² USAID-ის მხარდაჭერით, სამსახურის ერთმა აუდიტორმა სტაჟირების სამთვიანი პროგრამა გაიარა აშშ-ის მთავრობის ანგარიშვალდებულების სამსახურში, ქალაქ ვაშინგტონში;
- **აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „საჯარო მმართველობის პროგრამა (NGP)“** – 2023 წელს დაიწყო USAID-ის ახალი ხუთწლიანი საჯარო მმართველობის პროგრამა, რომლის ძირითადი მიზანია საჯარო ადმინისტრირებისა და საჯარო მმართველობის რეფორმების მხარდაჭერა და განვითარება საქართველოში. პროექტი სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ეხმარება სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, IT აუდიტის განვითარების, ინფორმაციული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტის დანერგვის, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაღრმავების, აუდიტორთა პროფესიული განვითარებისა და სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებაში;
- **ევროკავშირის (EU) „ეკონომიკური მმართველობისა და ფისკალური ანგარიშვალდებულების“ პროგრამის ტექნიკური დახმარების პროექტი** (პროექტის განმახორციელებელია მსოფლიო ბანკი) – პროექტის ექსპერტები წლის განმავლობაში ორი სამუშაო ვიზიტით ეწ-

ვივნენ სამსახურს. ექსპერტების მხარდაჭერით მიმდინარეობდა მუშაობა ქვეყნის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისთვის მომზადების, აუდიტის მეთოდოლოგიების გადახედვის, აუდიტის ხარისხის კონტროლისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების გაუმჯობესების მიმართულებით. ასევე, ექსპერტებმა 30-მდე ფინანსური აუდიტორისთვის ჩაატარეს ტრენინგი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში (IPSAS), მათ შორის, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების შესახებ.

პროექტის ფარგლებში სამსახურის ფინანსურმა აუდიტორებმა გაიარეს PwC-ის მიერ შემუშავებული IPSAS სტანდარტების სასწავლო კურსი. სამსახურის 23-მა აუდიტორმა მოიპოვა შესაბამისი სერტიფიკატი;

- **ევროკავშირის (EU) „საქართველოში უსაფრთხოების, ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის“ პროექტი (EU SAFE)** – პროექტის მხარდაჭერით აუდიტის სამსახურის დელეგაცია სამუშაო ვიზიტით ეწვია პოლონეთის უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუციას. სამუშაო შეხვედრების ფარგლებში მოხდა პოლონეთის გამოცდილების გაზიარება სამართალდამცავ ორგანოებში აუდიტების ჩატარების, აუდიტის თემების შერჩევის, აუდიტის დაგეგმვისა და განხორციელების, ასევე აუდიტის მიდგომებისა და პროცედურების, კომუნიკაციისა და სფეროსთან დაკავშირებული სხვა სპეციფიკური საკითხების შესახებ;
- **გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)** – 2023 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა თანამშრომლობა დაიწყო UN Women-თან. თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენდერული შეფასების აუდიტი და მომზადდა შესაბამისი ანგარიში. ანგარიშში იდენტიფიცირებულ საკითხებთან დაკავშირებით დაიგეგმა სხვადასხვა სახის ერთობლივი აქტივობების განხორციელება.

²² „სამედიცინო პერსონალის პროფესიული განვითარების“ ეფექტიანობის აუდიტი და „აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის განვითარებისა და მართვის“ ეფექტიანობის აუდიტი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური, როგორც უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო გაერთიანებების (INTOSAI, EUROSAI და ASOSAI) წევრი, წლის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული და მონაწილეობდა აღნიშნული ორგანიზაციების ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფების/ქვეკომიტეტების საქმიანობაში, INTOSAI-ის განვითარების ინიციატივის (IDI) პროექტებსა და ვებინარებში. 2023 წელს სამსახურმა მონაწილეობა მიიღო 40-მდე საერთაშორისო კონფერენციასა და ვებინარში, რომელთა შორის აღსანიშნავია სახელმწიფო ვალის, დიდი მონაცემების, ადგილობრივი თვითმმართველობების აუდიტისა და კატასტროფებსა და უბედურ შემთხვევებზე მიმართული სახსრების აუდიტის სამუშაო ჯგუფების; ასევე – შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის ქვეკომიტეტების შეხვედრები. 2023 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საქართველოში უმასპინძლა IDI-ის ახალი ინიციატივის – „უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების მმართველობის აკადემიის“ პირველ სამუშაო შეხვედრას, რომელსაც 7 ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის 20-მდე წარმომადგენელი დაესწრო.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს სხვა ქვეყნების უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებთან საჯარო აუდიტის უახლესი მიდგომების გაზიარების, პრაქტიკული გამოცდილების მიღებისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. სამსახურის ძირითადი პარტნიორები არიან აშშ-ის, ნიდერლანდების, ლატვიის, გერმანიის, პოლონეთის, შვედეთის, ფინეთის, თურქეთის უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტები.

უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო ჟურნალებში აუდიტის საინტერესო მიგნებებისა და საკუთარი გამოცდილების შესახებ სტატიების გამოქვეყნებით, აუდიტის სამსახურს თავისი წვლილი შეაქვს უკეთესი საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებასა და ჩამოყალიბებაში. 2023 წელს გამოქვეყნდა სამსახურის ორი პუბლიკაცია INTOSAI-ის საჯარო აუდიტის საერთაშორისო ჟურნალში.²³ ასევე, გაეროს ეკონომიკური პროგრამის მხარდაჭერით, საერთაშორისო ბიუჯეტის პარტნიორობისა (International Budget Partnership) და უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების ჩართულობით, მომზადდა და გამოიცა აუდიტორის სახელმძღვანელო „საბიუჯეტო სანდოობის გაძლიერება გარე აუდიტის მეშვეობით“.²⁴ სახელმძღვანელოს მომზადებაში მონაწილეობდნენ 11 ქვეყნის აუდიტის სამსახურის წარმომადგენლები, მათ შორის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლები.

²³ სტატია აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული ეფექტიანობის აუდიტის შესახებ - „საჯარო სექტორში დისტანციური მუშაობისათვის ეფექტიანი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა“; სტატია სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ეთიკისა და კეთილსინდისიერების საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვასთან დაკავშირებით.

²⁴ <https://internationalbudget.org/publications/strengthening-budget-credibility-through-external-audits-a-handbook-for-auditors/>





3.

შიდა მმართველობის სისტემის
გაძლიერებით ეფექტიანობის უზრუნველყოფა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ორიენტირებულია შიდა მმართველობის სისტემის გაძლიერებით ეფექტიანობის ამაღლებაზე, საზოგადოებისთვის მეთი ღირებულების შექმნასა და საჯარო სექტორის სანიმუშო ორგანიზაციად ჩამოყალიბებაზე. სტრატეგიის მიხედვით, სამსახური აგრძელებს არსებული გამოწვევების საპასუხოდ შიდა ორგანიზაციული გარემოს გაუმჯობესებას, რაც გამოიხატება მმართველობითი სისტემის დახვეწაში, ეთიკური ღირებულებების განმტკიცებაში, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფასა და სტრატეგიული/ოპერაციული დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესებაში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრატეგიული პრიორიტეტია ეთიკური ღირებულებების განმტკიცება ორგანიზაციაში. შიდა მმართველობის სისტემამ უნდა უზრუნველყოს საოპერაციო და რეპუტაციული ხასიათის რისკების დროული გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება. 2023 წელს სამსახურის თანამშრომლებმა გაიარეს აშშ-ის ანგარიშვალდებულების სამსახურის (GAO) „აუდიტის დახელოვნების ცენტრის“ ექსპერტების მიერ ჩატარებული ტრენინგკურსი: „ეთიკური ორგანიზაციული კულტურა: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეთიკური ჩარჩოს განხორციელების პრინციპები და პრაქტიკა“.

2023 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით ჩატარდა სამსახურის თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი, რომლის მიზანი იყო გენდერული მეინსტრიმინგის მხრივ სამსახურის მიერ მიღწეული პროგრესის შეფასება, ასევე არსებული გამოწვევების გამოვლენა და სამომავლო განვითარების შესაძლებლობების ანალიზი. აუდიტი ჩატარდა დამოუკიდებელი ფასილიტატორების მიერ. შეფასების საფუძველზე მომზადდა რეკომენდაციები, რომლებიც შეეხება როგორც სამსახურის შიდა ორგანიზაციულ პროცესებს, ასევე აუდიტორულ საქმიანობაში გენდერული საკითხების ინტეგრირებას.


სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განვითარების სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინფორმაციული ტექნოლოგიების გაუმჯობესებასა და მათ ინტეგრირებას აუდიტის პროცესსა და სამსახურის ოპერაციულ საქმიანობაში. ამასთანავე, თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში

არსებული გამოწვევების პირობებში, სამსახურის პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სამსახური აცნობიერებს მის წინაშე არსებულ გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის დაცვას, ასევე მათ განკარგვას.

ინფორმაციული სისტემების გაუმჯობესებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურში ფუნქციონირებს ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია ამ მიმართულებით პოლიტიკის განხორციელებაზე და განახლებაზე; ასევე სამსახურს ჰყავს ინფორმაციული უსაფრთხოების ოფიცერი, რომელიც პერიოდულად აფასებს სამსახურის IT გარემოს უსაფრთხოებას სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით. ამ შეფასებების საფუძველზე შემუშავებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის IT განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია და შესაბამისი ინფორმაციული უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა.

ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის დაცვის კუთხით არსებული რისკების ეფექტიანი მართვის მიზნით, აუდიტის სამსახური აქტიურად განაგრძობს მუშაობას IT უსაფრთხოების პოლიტიკებისა და პროცედურების დანერგვასა და გაუმჯობესებაზე, რათა მაქსიმალურად დაუახლოვდეს უსაფრთხოების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტს. 2023 წელს, USAID-ის „საჯარო მმართველობის პროგრამის“ მხარდაჭერით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაიწყო მზადება ინფორმაციული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტის – ISO 27001-ის მოპოვებისთვის.



A decorative header consisting of ten vertical bars of equal height and width, arranged in a row. The first nine bars are gray, and the tenth bar is red.







4.

თანამშრომელთა პროფესიული
განვითარების ხელშეწყობა

სამსახურის სტრატეგიული მიზნების დროული და ეფექტიანი მიღწევის ძირითადი წინაპირობაა მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა და მათი შენარჩუნება მუდმივი პროფესიული განვითარების ხელშეწყობითა და მოტივაციის ამაღლებით. ადამიანური რესურსი სამსახურის ძირითადი აქტივია. შესაბამისად, აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული მრავალი აქტივობა და დონორებისგან მიღებული მხარდაჭერა მიმართულია

ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერებაზე.

2023 წელს აუდიტის სამსახურში დასაქმებული იყო 321 თანამშრომელი (პროფესიული საჯარო მოხელეები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები). ორგანიზაციის თანამშრომელთა 77%-ს პროფესიული შტატი შეადგენს, ხოლო 23% – დამხმარე პერსონალია. აღსანიშნავია, რომ სამსახურში სრულად არის დაცული გენდერული ბალანსი.




აუდიტის სამსახურში დანერგილია საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემა, რომლის საშუალებით განისაზღვრება თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებები, ასევე მათი პროფესიული კვალიფიკაციის გამოყენების პერსპექტივები და წახალისების წინაპირობები.

თანამშრომლების როგორც პროფესიული, ასევე სხვა უნარების განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სამსახურის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ტრენინგ-კურსებსა და პროფესიულ სამუშაო შეხვედრებში. 2023 წელს რამდენიმე მიმართულებით ტრენინგი გაიარა 270-მა თანამშრომელმა. აღნიშნული სასწავლო კურსები შეეხებოდა როგორც აუდიტორულ, ასევე არააუდიტორულ და ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საკითხებს. აღსანიშნავია, რომ სამსახურის აუდიტორთა 48% ფლობს პროფესიული განვითარების დამადასტურებელ სერტიფიკატს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლები ასევე აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისოდ აღიარებულ სასერტიფიკაციო პროგრამებში, როგორებიცაა, სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „საჯარო სექტორის აუდიტორთა სასერტიფიკაციო პროგრამა“, ACCA, CFA, CFM, CISA და სხვ.

აუდიტის სამსახურისა და ზოგადად, საჯარო სექტორის ადამიანური რესურსების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტი. ინსტიტუტის პირველადი ფუნქციაა აუდიტის სამსახურისა და ინსტიტუტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მოსამსახურეთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა, მათი ცოდნის გადრეზუმირებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, შესაბამისი სასწავლო კურსების შემუშავება და ტრენინგების ჩატარება.

დიაგრამა 16. 2023 წელს გადამზადებულ თანამშრომელთა განაწილება მიმართულებების მიხედვით.




²⁵ <http://www.sai.ge/ka/>

2023 წელს ინსტიტუტმა ჩაატარა 42 ტრენინგ-კურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1,264-მა მსმენელმა. საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო პროგრამა გაი-არა 28 პირმა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალუ-რი განვითარების პროგრამის მიმართულებით, ტრენინგკურსებში მონაწილეობდა მუნიციპალი-ტეტების 233 წარმომადგენელი. ინსტიტუტი გახდა პირველი სასწავლო დაწესებულება, რომელმაც საბაზისო პროგრამების: „მოხელის მენეჯერუ-ლი უნარები“ და „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“ ელექტ-რონულ ფორმატში განხორციელების უფლება მოიპოვა. სსიპ – განათლების ხარისხის განვითა-რების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, ინსტიტუტმა ელექტრონული კურსების აკრედიტაცია 5 წლის ვადით მიიღო.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საჭიროებების გათვალისწინებით, ინსტიტუტის მიერ ორგანიზე-ბულ 17 სხვადასხვა თემატიკის ტრენინგკურსში ჩართული იყო სამსახურის 107 თანამშრომელი.

ინსტიტუტმა 2023 წელს ხუთ საერთაშორისო სა-კონსულტაციო-აუდიტორულ კომპანიასთან (EY, KPMG, PwC, Deloitte, BDO) მეორედ განახორცი-ელა პროექტი – „გახდი აუდიტორი“, რომელშიც პარტნიორი 21 უმაღლესი სასწავლებლის მიერ შერჩეულმა 42-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეო-ბა. პროექტის ფარგლებში აუდიტორულმა კომპა-ნიებმა 2 წლის განმავლობაში 20-მდე სტაჟიორი შეარჩიეს და დაასაქმეს.

საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა 2023 წელს თანამშ-რომლობის 2 ახალი მემორანდუმი გააფორმა ბუ-ღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდი-ტის ზედამხედველობის სამსახურსა (SARAS) და შპს „მოორ ეიბისი“-სთან.




5.

სამსახურის ფინანსები


სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2023 წლის ბიუჯეტი 21.3 მლნ ლარით განისაზღვრა. ფაქტობრივად დახარჯულმა თანხამ 20.9 მლნ ლარი და გეგმის 98% შეადგინა. სამსახურის ძირითადი ხარჯთა თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება,²⁶ რაზეც წლის განმავლობაში 17.4 მლნ ლარი მიიმართა; ასევე IT ინფრასტრუქტურის მოწოდებისა და განვითარების მიზნით, 2023 წელს გამოიყო 277 ათასი ლარი, რის შედეგადაც შესყიდულ იქნა კომპიუტერული ინფრასტრუქტურა და ქსელური მოწყობილობები, ასევე უსაფრთხოების პროგრამული უზრუნველყოფის სისტემები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსურ აუდიტს ატარებს საქართველოს პარლამენტის მიერ შერჩეული მსოფლიოს ოთხი უმსხვილესი კერძო აუდიტორული კომპანიიდან ერთ-ერთი. 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა PwC-მ. სამსახურმა მიიღო უპირობო დასკვნა, რაც ნიშნავს, რომ სამსახურის ფინანსური ანგარიშგება სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. სამსახურის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი აუდიტის დასკვნა იხ. დანართ 5-ში.

დიაგრამა 17. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2023 წლის ბიუჯეტის სტრუქტურა (ფაქტი).



²⁶ შრომის ანაზღაურება მოიცავს შტატიტ გათვალისწინებულ და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ თანამშრომელთა ანაზღაურებას.



6.

მომავლის ხედვა
და არსებული გამოწვევები

შედგგე ორიენტირებული და ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველსაყოფად აუდიტის სამსახური მუდმივად აანალიზებს ორგანიზაციის წინაშე არსებულ შიდა და გარე გამოწვევებს, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მათთან გამკლავების გზების მოძიებასა და განვითარების შესაძლებლობად გარდაქმნას. არსებული მდგომარეობით სამსახურის წინაშე მდგარი გამოწვევებია:

სამსახურის მანდატი

აუდიტის სამსახურის მიერ საზოგადოებისთვის შექმნილი სარგებელი და მისი როლი საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სამსახურის მანდატსა და ინფორმაციაზე შეუფერხებელი წვდომის უფლებაზე. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით, უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაცია ატარებს საგადასახადო შემოსავლების აუდიტს, რაც გამოიხატება საგადასახადო სისტემის ფუნქციონირებისა და საგადასახადო მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით რწმუნების გამოთქმაში. ამ მიმართულებით გამოწვევაა საგადასახადო შემოსავლების აუდიტის ჩატარების მანდატის ნათლად წარმოჩენა, რაც კიდევ უფრო აქტუალური ხდება მთავრობის მიერ IPSAS-ის სტანდარტებით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების პროცესში.

აუდიტორული საქმიანობით ბიუჯეტისა და სექტორების დაფარვა

აუდიტის სამსახურმა 2017-2022 წლებში ნაერთი ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელი 81%-დან 90%-მდე გაზარდა და დააკმაყოფილა ამ კუთხით საერთაშორისო სტანდარტით თუ უკეთესი პრაქტიკით (SAI-PMF, PEFA) დადგენილი მოთხოვნები, თუმცა აღნიშნული მაჩვენებლის შენარჩუნება და შემდგომი ზრდა დაკავშირებულია ბევრი მცირე-ბიუჯეტიანი უწყების აუდიტთან, რაც დამატებით აუდიტორულ რესურსს მოითხოვს. ამის ნათელი დასტურია 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის დაფარვის ფაქტობრივი მაჩვენებელი, რომელმაც 89% შეადგინა. ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებლის გაუმჯობესება მნიშვნელოვან ადამიანურ და დროით რესურსს მოითხოვს და გამოწვევად რჩება სამსახურისთვის.

სახელმწიფო საწარმოების დაფარვა

აუდიტის სამსახურის მანდატი ფართოა და იგი მოიცავს მხარჯავ დანესებულებებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, საბიუჯეტო ორგანიზაციებს საქართველოს ორ ავტონომიურ რესპუბლიკაში, ასევე 69 მუნიციპალიტეტსა და 400-მდე სახელმწიფო საწარმოს. სამსახურისთვის გამოწვევად რჩება სახელმწიფო საწარმოების დაფარვისთვის საჭირო რესურსის გამოყოფა ნაერთი ბიუჯეტისა და სექტორული დაფარვის მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნების პარალელურად.

რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის, უმაღლესი ფუნქციაა საჯარო მმართველობის გაუმჯობესება და მოქალაქეებისთვის ღირებულების შექმნა. აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად სამსახური გასცემს რეკომენდაციებს, რაც მიზნად ისახავს, გაუმჯობესდეს საჯარო ფინანსების მართვა საერთაშორისო სტანდარტებთან/უკეთეს პრაქტიკებთან შესაბამისობის, კანონიერებისა და ეფექტიანობის კუთხით გამოვლენილ ნაკლოვანებებზე საპასუხო ქმედებების განხორციელებით. აუდიტორული საქმიანობის სარგებელი გამოიხატება შესრულებული რეკომენდაციების რაოდენობაში, რაც მთავარ გამოწვევად რჩება. აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ აუდიტის სამსახურმა შეიმუშავა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა (ARIS). სისტემის პრაქტიკაში სრულად ამოქმედება და დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით პარლამენტის, აღნიშნულ პროცესში აქტიური ჩართვა, ხელს შეუწყობს რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებლის გაუმჯობესებას.

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიური სისტემები

ციფრული მმართველობა და საჯარო სერვისების ელექტრონიზაცია თანამედროვე საჯარო ფინანსების მართვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. გასულ წლებში არსებითად გაფართოვდა საჯარო სექტორის ინფორმაციული ინფრასტრუქტურა და




დაინერგა მრავალი ახალი ელექტრონული სისტემა. დადებით მხარეებთან ერთად, ელექტრონული მმართველობის სისტემების განვითარება დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, როგორებიცაა, კიბერუსაფრთხოება და მონაცემთა ბაზების მართვის პროგრამული უზრუნველყოფის ეფექტიანობა. აღნიშნულის პარალელურად, კიდევ უფრო იზრდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურში IT აუდიტის მიმართულების განვითარების საჭიროება და მისი გამოყენება მთავრობის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიური (ICT) ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის.

კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვა და შენარჩუნება

აუდიტის სამსახურის უმთავრესი ინტელექტუალური რესურსი პროფესიული კადრებია. აუდიტის სფეროში არსებული მაღალი კონკურენციის პირობებში, სამსახურისთვის გამომწვევად რჩება ადამიანური რესურსების გადინების მიზნობრივი მაჩვენებლის (5%) შენარჩუნება და კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვა. აღნიშნული გამოწვევა განსაკუთრებით მწვავედ დგას სამსახურის სტრატეგიით განსაზღვრული ახალი მიმართულებების გაძლიერებისა და დაფარვის მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევის/შენარჩუნების კუთხით, ასევე IT აუდიტორების მიმართულებით.

ინფორმაციული ტექნოლოგიები და ინფორმაციული უსაფრთხოება

მაღალხარისხიანი აუდიტორული საქმიანობა მოითხოვს დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავებასა და ანალიზს. ამასთანავე, მომეტებული კიბერუსაფრთხოების ფონზე შესამჩნევადია გაზრდილი ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების მნიშვნელობა. გასულ პერიოდში აუდიტის სამსახურმა დაინერგა კონტროლის ისეთი სისტემები, რომლებიც პასუხობს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიურ გამოწვევებს და უზრუნველყოფს სამსახურის, როგორც საჯარო სექტორში ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით სანიმუშო ორგანიზაციის, გამართულ ფუნქციონირებას. მიუხედავად ამისა, სწრაფად ცვალებადი ტექნოლოგიური გარემო მოითხოვს ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და IT აუდიტის შესაძლებლობების გაძლიერებაზე მუდმივ ზრუნვას, რაც ადამიანურ და ფინანსურ რესურსებთანაა დაკავშირებული.



დენერტიზი

დანართი 1. 2023 წელს ჩატარებული აუდიტები

15 ფინანსური აუდიტი	
1	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
2	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური აუდიტი
3	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
4	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფინანსური აუდიტი
5	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
6	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
7	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფინანსური აუდიტი
8	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
9	საქართველოს პროკურატურის ფინანსური აუდიტი
10	საქართველოს პარლამენტის და მასთან არსებული ორგანიზაციების ფინანსური აუდიტი
11	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი
12	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი
13	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი
14	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი
15	სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს პროექტის „მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივა“ ფინანსური აუდიტი
26 შესაბამისობის აუდიტი	
16	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციების მიერ განხორციელებული საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის უწყებათაშორის შესაბამისობის აუდიტი
17	სსიპ - ფინანსური მონიტორინგის სამსახურის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
18	შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ შესაბამისობის აუდიტი
19	საქართველოს პარლამენტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
20	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის აქტივების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი
21	პროგრამის „საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია“ შესაბამისობის აუდიტი
22	შპს „საქართველოს მელიორაციის“ შესაბამისობის აუდიტი
23	სსიპ - აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მომსახურების სააგენტოს პროგრამების შესრულებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი
24	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტის „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა“ ფარგლებში პროგრამების (ქვეპროგრამების) შესრულებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი
25	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტის „განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია“ ფარგლებში პროგრამების (ქვეპროგრამების) შესრულებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი
26	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი
27	შპს „სანდასუფთავების“ საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

28	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
29	ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
30	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული „გამწვანების ღონისძიებების“ (პროგრამული კოდი 03 01) შესაბამისობის აუდიტი
31	ადიგენის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
32	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
33	ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
34	ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
35	გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
36	გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
37	დმანისის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
38	გესტაფონის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
38	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
49	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
41	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
10 ეფექტიანობის კუთხით	
42	მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის აუდიტი
43	ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ეფექტიანობის აუდიტი
44	ფსიქიკური ჯანმრთელობის ეფექტიანობის აუდიტი
45	მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობის ეფექტიანობის აუდიტი
46	შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის (SRAMP) ეფექტიანობის აუდიტი
47	სამომხმარებლო, ინდუსტრიული და სამშენებლო პროდუქტების უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი
48	სამხედრო განათლების სისტემის ეფექტიანობის აუდიტი
49	მაღალმთიანი დასახლების განვითარების ეფექტიანობის აუდიტი
50	ზოგადი განათლების მართვის მოდელის ეფექტიანობის აუდიტი
51	სამედიცინო პერსონალის პროფესიული განვითარების ეფექტიანობის აუდიტი



დანართი 2. 2023 წელს კარლემენტის აუდიტის ჯგუფის მიერ განხილული აუდიტები

1	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის ფინანსური აუდიტი
2	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის ფინანსური აუდიტი
3	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2021 წლის ფინანსური აუდიტი
4	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის ფინანსური აუდიტი
5	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის ფინანსური აუდიტი
6	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2021 წლის ფინანსური აუდიტი
7	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის ფინანსური აუდიტი
8	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ფინანსური აუდიტი
9	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2021 წლის ფინანსური აუდიტი
10	სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს პროექტის - „მცენარეთა დაცვის ინიციატივა“ ფინანსური აუდიტი
11	სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების კონსოლიდირებულ (ნაერთ) ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო შემოსავლების ფინანსური აუდიტი
12	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) შესაბამისობის აუდიტი
13	სს „საქართველოს რკინიგზის“ შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი
14	შსს-ს სასაზღვრო პოლიციის აქტივების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი
15	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
16	ხელბურთის ეროვნული ფედერაციის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
17	სსიპ - ფინანსური მონიტორინგის სამსახურის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
18	ბიზნესომბუდსმენის მიერ განხორციელებული საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტი
19	შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის (SRAMP) პროექტის 2021 წლის ეფექტიანობის აუდიტი
20	შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის (SRAMP) პროექტის 2022 წლის ეფექტიანობის აუდიტი
21	საჯარო სექტორში დისტანციური მუშაობისთვის ეფექტიანი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი
22	დაავადებების პრევენციის ეფექტიანობის აუდიტი
23	პროგრამა „სტარტაპ საქართველოს“ ეფექტიანობის აუდიტი

დანართი 3. საქართველოს ორგანოებში 2023 წელს გადაგზავნილი ანგარიშები/მასალები

1	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის ფინანსური აუდიტის ანგარიშის მასალები
2	ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მასალები
3	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მასალები
4	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მასალები
5	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მასალები
6	ა(ა)იპ - საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის 2019-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მასალები
7	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ 2020-2021 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის მასალები
8	შპს „თბილისერვის ჯგუფის“ 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში
9	დუშეთის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ანგარიში
10	გორის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში
11	ხობის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში
12	ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში
13	თიანეთის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში
14	ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში
15	თელავის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში
16	ახმეტის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში
17	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის მასალები
18	ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მასალები (შპს „ქობულეთის წყალი“)
19	ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში და მასალები
20	შპს „სანდასუფთავების“ 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მასალები
21	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში და მასალები

დანართი 4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2023 წლის ბიუჯეტი

ათასი ლარი	დაუხარჯავი გეგმა	ფაქტი	შესრულება %
ხარჯები	19,800	19,350	98%
შრომის ანაზღაურება	16,509	16,481	100%
საქონელი და მომსახურება	2,594	2,240	86%
გრანტები	6	4	67%
სოციალური უზრუნველყოფა	300	295	98%
სხვა ხარჯები	391	331	85%
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,500	1,557	104%
მთლიანი ბიუჯეტი	21,300	20,907	98%

დანართი 5. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1	ანგარიშვალდებული ერთეული (ცვლილებები წინა საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	სახელმწიფო აუდიტის სამსახური
2	ანგარიშვალდებული ერთეულის საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N96
3	საიდენტიფიკაციო ნომერი (ცვლილებები წინა საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	სახელმწიფო აუდიტის სამსახური - 202051956; სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი - 206350312
4	ორგანიზაციული ფორმა	სახელმწიფო მმართველობის დამხმარე საქმიანოები
5	დაფინანსების წყარო	საბიუჯეტო სახსრები და საკუთარი შემოსავლები
6	ანგარიშგების ტიპი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
7	ანგარიშგების პერიოდულობა	წლიური
8	ანგარიშგების თარიღი და პერიოდი	31.12.2023წ; 01.01.2023 -31.12.2023წწ.
9	ერთეულების მომცველობა (კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემთხვევაში)	1. სახელმწიფო აუდიტის სამსახური (აპარატი); 2. სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი
10	ძირითადი საქმიანობების ჩამონათვალი	1. აუდიტორული საქმიანობა; 2. სასერტიფიკატო და სატრენინგო პროგრამები.
11	საანგარიშგებო ვალუტა	ლარი
12	დამრგვალების დონე	ერთეული
13	ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის შესახებ საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	tskavlashvili@sao.ge T: 0322834101 Lshalikashvili@sao.ge T: 0322834122



მთავარი ბუღალტერი:

ორგანიზაციის ხელმძღვანელი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი

(Handwritten signature in blue ink)

(Handwritten signature in blue ink)

ლალი შალიკაშვილი

ცოტნე ყავლაშვილი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება.....	1
კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება.....	2
კონსოლიდირებული წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება.....	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ორგანიზაცია და მისი საქმიანობა.....	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა	9
4. ფულადი სახსრები და ეკვივალენტები	17
5. მიმდინარე ინვესტიციები და მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები.....	19
6. მატერიალური მარაგები.....	23
7. სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები.....	25
8. ძირითადი აქტივები.....	27
9. არამატერიალური აქტივები	30
10. კრედიტორული დავალიანება, ანარიცხები და სხვა ვალდებულებები.....	33
11. შემოსავლები გადასახადებიდან, გრანტებიდან და სხვა.....	35
12. შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან.....	36
13. გაუფასურების ხარჯები და გაუფასურების უკუგატარებით შემოსავლები	37
14. დარიცხული ხარჯები, გრანტები და სუბსიდიები.....	38
15. სხვადასხვა შემოსავლები და ხარჯები.....	40
16. თანამშრომელთა ანაზღაურება	40
17. პირობითი ვალდებულებები	41
18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	42
19. ფინანსური რისკის მართვა	43
20. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ.....	44

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელობას და საქართველოს პარლამენტს

ჩვენი მოსაზრება

ჩავატარეთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (შემდგომში „ორგანიზაცია“ ან „სას“) და ორგანიზაციის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ (ერთობლივად „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების, კონსოლიდირებული წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგების და კონსოლიდირებული ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N 108 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბას-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ - ინსტრუქციისა და 2021 წლის 4 თებერვლის N 24 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ - ინსტრუქციის (ერთობლივად „ინსტრუქცია“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებასა და წარდგენაზე, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ერთეულის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ვცნობით აუდიტისთვის რელევანტურ შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ერთეულის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი ერთეული.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

ხელმძღვანელობას, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ნ. ქადაგიშვილი

ნინო ქადაგიშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-506913)

2024 წლის 15 მაისი
თბილისი, საქართველო

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და მის კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ანგარიშგების შენიშვნა 2-ში აღწერილი მომზადების საფუძველის მიხედვით;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მის თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- გონივრულობის ფარგლებში მიიღოს ყველა ხელმისაწვდომი ზომა, რათა დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- შექმნას სათანადო კონტროლის მექანიზმები, რათა თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ.

ხელმძღვანელობის სახელით:


გიორგი კავთარავილი
გენერალური აუდიტორი
15 მაისი 2024წ. თბილისი, საქართველო




ლალი შალიკაშვილი
მთავარი ბუღალტერი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

სტრიქონი ს კოდი	დასახელება	შენიშ ვნა ¹	საანგარიშგებო წელი	საანგარიშგებო წლის წინა წელი
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
001	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	N2	650,000	500,000
002	მიმდინარე ინვესტიციები	N2ა	-	-
003	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	N2ა	54,384	117,917
004	მატერიალური მარაგები	N3	224,531	250,738
005	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები	N4	700,238	235,734
006	სულ მოკლევადიანი აქტივები		1,629,153	1,104,389
გრძელვადიანი აქტივები				
007	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	N5	-	-
008	ძირითადი აქტივები	N6	26,999,717	27,415,330
009	საინვესტიციო ქონება	N7	-	-
010	არამატერიალური აქტივები	N8	817,054	900,460
011	შეღავათიანი მომსახურების აქტივები	N9	-	-
012	ფინანსური იჯარით მიღებული აქტივები	N10	-	-
013	სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები	N11	-	-
014	სულ გრძელვადიანი აქტივები		27,816,771	28,315,790
015	სულ აქტივები		29,445,924	29,420,179
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
016	მოკლევადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	N12	-	-
017	მოკლევადიანი ნასესხები თანხები	N12	-	-
018	მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, გარდა პროცენტისა	N13ა	22,268	36,542
019	გადასახდელი პროცენტი	N13ა	-	-
020	მიმდინარე ანარიცხები	N13ბ	-	-
021	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	N13ა	-	-
022	ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით	N13ა	-	-
023	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		22,268	36,542
გრძელვადიანი ვალდებულებები				
024	გრძელვადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	N12	-	-
025	გრძელვადიანი ნასესხები თანხები	N12	-	-
026	გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები ფინანსური იჯარით	N10	-	-
027	შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებებით განსაზღვრული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	N9	-	-
028	გრძელვადიანი ანარიცხები	N13ბ	-	-
029	გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	N13ა	-	-
030	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
031	სულ ვალდებულებები		22,268	36,542
წმინდა აქტივები/კაპიტალი				
032	საწესდებო კაპიტალი		-	-
033	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი		29,423,656	29,383,637
034	რეზერვები		-	-
035	სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი		29,423,656	29,383,637
036	სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები/კაპიტალი		29,445,924	29,420,179

ხელმძღვანელობის სახელით:

მრ. ბეკა ვაჭაშვილი
გენერალური აუდიტორი

15 მაისი 2024წ. თბილისი, საქართველო

ლალა შალიკაშვილი
მთავარი ბუღალტერი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

სტრიქონის კოდი	დასახელება	შენიშვნა ¹	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა			წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა
			საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	სულ
შემოსავლები						
001	საგადასახადო შემოსავლები	N14 ა	-	-	-	-
002	სოციალური შენატანები		-	-	-	-
003	შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით	N14 გ	96	-	96	
004	შემოსავლები გრანტებით	N14 ბ	45,873	-	45,873	142,787
005	ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	N14გ N15ა	-	-	-	1,357
006	შემოსავლები შიდა ტრანსფერებით	N14 გ	20,906,856	-	20,906,856	17,909,490
007	შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა	N15ა	-	496,101	496,101	504,339
008	გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული მოგება	N15ბ N17ა ²	-		-	
009	საპროცენტო შემოსავლები	N15ა	-	33,157	33,157	42,583
010	გაუფასურების უკუგატარებით შემოსავლები	N16	-	-	-	-
011	სხვადასხვა შემოსავლები	N18	-	-	-	2,570
012	სულ შემოსავლები		20,952,825	529,258	21,482,083	18,603,126
ხარჯები						
013	შრომის ანაზღაურება	N17ა	16,507,462	192,108	16,699,570	15,051,865
014	საქონელი და მომსახურება	N17ა	2,189,132	189,739	2,378,871	2,300,222
015	გრანტები	N17ბ	694,277	-	694,277	5,050
016	სუბსიდიები	N17გ	-	-	-	-
017	ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები	N17ა	330,593	6,991	337,584	338,064
018	შიდა ტრანსფერებით ხარჯები	N17ა	60,762	-	60,762	-
019	ცვეთა და ამორტიზაცია	N17ა	967,635	8,103	975,738	967,606
020	სოციალური დახმარება/უზრუნველყოფა	N17ა	294,699	565	295,264	212,022
021	გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებული ზარალი	N15ბ N17ა*	-	-	-	-
022	საპროცენტო ხარჯები (ფინანსური ხარჯები)	N17ა	-	-	-	-
023	გაუფასურების ხარჯები	N16	-	-	-	11,488
024	სხვადასხვა ხარჯები	N18	-	-	-	1,400
025	სულ ხარჯები		21,044,560	397,506	21,442,066	18,887,717
026	პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)		(91,736)	131,753	40,017	(284,591)

004 სტრიქონში - „შემოსავლები გრანტებით“ აღირიცხება შესაბამის პერიოდში გრანტის სახით მიღებული შემოსავლები, როგორც სასაქონლო ფორმით ასევე ფულადი ფორმით მიღებული მიზნობრივი გრანტი.

ხელმძღვანელობის სახელით:

ცოტნე ყავლაშვილი
გენერალური აუდიტორი

15 მაისი 2024წ. თბილისი, საქართველო



ლალი შალიკაშვილი
მთავარი ბუღალტერი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

საანგარიშგებო პერიოდი

სტრუქტურის კოდი	დასახელება	შენიშვნა ¹	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი		რეზერვები	სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი
				საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები		
001	საწყისი ნაშთი			29,463,053	(79,415)		29,383,639
002	სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების რეტროსპექტული გამოყენება	N1	-	-	-	-	-
003	წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშება	N1	-	-	-	-	-
004	კორექტირებები ერთჯერადი გადაფასების შედეგად	N1	-	-	-	-	-

005	კორექტირებები კაპიტალის სხვა ცვლილებების შედეგად	N1	-	-	-	-	-
006	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი		-	29,463,053	(79,415)	-	29,383,639
წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება							
007	კაპიტალში შენატანები		-	-	-	-	-
008	კაპიტალის ამოღება		-	-	-	-	-
009	რეზერვების ზრდა/კლება	N5	-	-	-	-	-
010	პერიოდის ნამეტი/დეფიციტი		-	(91,735)	131,753	-	40,017
011	მესაკუთრებისათვის გასანაწილებელი თანხები		-	-	-	-	-
012	საბოლოო ნაშთი		-	29,371,318	52,338	-	29,423,656

წინა საანგარიშგებო პერიოდი

სტრუქტურის კოდი	დასახელება	შენიშვნა ¹	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი		რეზერვები	სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი
				საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები		
001	საწყისი ნაშთი		-	29,902,760	(234,530)		29,668,230
002	სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების რეტროსპექტული გამოყენება	N1	-	-	-		-
003	წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშება	N1	-	-	-		-
004	კორექტირებები ერთჯერადი გადაფასების შედეგად	N1	-	-	-		-
005	კორექტირებები კაპიტალის სხვა ცვლილებების შედეგად	N1	-	-	-		-
006	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი		-	29,902,760	(234,530)	-	29,668,230
წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება							
007	კაპიტალში შენატანები		-	-	-	-	-
008	კაპიტალის ამოღება		-	-	-	-	-
009	რეზერვების ზრდა/კლება	N5	-	-	-	-	-
010	პერიოდის ნამეტი/დეფიციტი		-	(439,706)	155,115		(284,591)
011	მესაკუთრებისათვის გასანაწილებელი თანხები		-	-	-	-	-
012	საბოლოო ნაშთი		-	29,463,054	(79,415)	-	29,383,639

ხელმძღვანელობის სახელით:

გორბენაშვილი
გენერალური აუდიტორი

15 მაისი 2024წ. თბილისი, საქართველო

ლალი შალიკაშვილი
მთავარი ბუღალტერი

5 44 გვერდებზე თანდართული განმარტებები არის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ნაწილი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება


2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

საანგარიშგებო პერიოდი

სტრუქტურის კოდი	დასახელება	შენიშვნა ¹	დამტკიცებული ბიუჯეტი (საწყისი)	დაზუსტებული ბიუჯეტი (საბოლოო)	ბიუჯეტის შესრულება	შესრულება (%)
ბიუჯეტის შემოსულობები						
001	გადასახადები		-	-	-	-
002	გრანტები		-	-	-	-
003	სხვა შემოსავლები		-	-	-	-
004	არაფინანსური აქტივების კლება		-	-	-	-
005	ფინანსური აქტივების კლება		-	-	-	-
006	ვალდებულებების ზრდა		-	-	-	-
007	სულ ბიუჯეტის შემოსულობები		-	-	-	-
ბიუჯეტის გადასახდელები						
008	შრომის ანაზღაურება		16,508,900	16,508,900	16,480,674	100%
009	საქონელი და მომსახურება		2,594,000	2,594,000	2,239,512	86%
010	პროცენტი		-	-	-	-
011	სუბსიდიები		-	-	-	-
012	გრანტები		6,000	6,000	4,419	74%
013	სოციალური დახმარება		300,000	300,000	294,699	98%
014	სხვა ხარჯები		391,000	391,000	330,593	85%
015	არაფინანსური აქტივების ზრდა		1,558,612	1,558,612	1,556,959	100%
016	ფინანსური აქტივების ზრდა		-	-	-	-
017	ვალდებულებების კლება		-	-	-	-
018	სულ ბიუჯეტის გადასახდელები		21,358,512	21,358,512	20,906,856	98%
019	ბიუჯეტის ნაშთი					

ხელმძღვანელობის სახელით:



ცოტნე ყავლაშვილი
გენერალური აუდიტორი

15 მაისი 2024წ. თბილისი, საქართველო





ლალი შალივაშვილი
მთავარი ბუღალტერი

1. ორგანიზაცია და მისი საქმიანობა

1918 წელს შეიქმნა სახელმწიფო კონტროლიორის ინსტიტუტი, რომელიც ფუნქციონირებდა 1921 წლის ჩათვლით, საბჭოთა ოკუპაციამდე. 1991 წელს, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად, შეიქმნა სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ეროვნული სისტემა და დაარსდა საქართველოს კონტროლის პალატა. 2008 წლიდან დაიწყო უწყების ინსტიტუციური გარდაქმნა, რის შედეგადაც 2012 წლის ივლისიდან ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სახით ჩამოყალიბდა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მართვის მოდელი წარმოადგენს ვესტმინსტერულ მოდელს. სამსახურს ხელმძღვანელობს გენერალური აუდიტორი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი 5 წლის ვადით. აუდიტის სამსახური ხელს უწყობს საპარლამენტო ზედამხედველობისა და მთავრობის საქმიანობის გაუმჯობესებას, უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და საჯარო ფინანსების ეფექტიან გამოყენებას. სახელმწიფო აუდიტის სამსახური დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAIs) მიხედვით შეიმუშავა ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგიები. 2018 წლიდან დაიწყო სისტემური (ჰორიზონტალური) აუდიტების ჩატარება საჯარო სექტორში არსებული სისტემური რისკების გამოვლენისათვის. აუდიტის ახალ მიმართულებად განისაზღვრა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა (მსოფლიო ბანკი - World Bank (WB)) და დონორების (United States Agency for International Development (USAID)) მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტი. კერძოდ, აუდიტის სამსახურმა სრულად დააკმაყოფილა USAID-ის მოთხოვნები აუდიტის ხარისხთან დაკავშირებით და გახდა USAID-ის აუდიტორი ორგანიზაცია ამიერკავკასიის რეგიონში. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან გამოცხადებული ნდობა მიუთითებს აუდიტის სამსახურის წარმატებასა და აუდიტორული საქმიანობის მაღალ ხარისხზე.

აგრეთვე სამსახურის პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ეფექტიანობის აუდიტების წილი მთლიან აუდიტორულ საქმიანობაში. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვის სისტემა. შედეგად აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკას. მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, უკანასკნელ პერიოდში სამსახური ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ლიდერ უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციად და პარალელურ რეჟიმში, ატარებს ერთობლივ აუდიტებს ევროკავშირის ისეთ ქვეყნებთან ერთად, როგორებიცაა: პოლონეთი, ავსტრია, ესპანეთი, ნიდერლანდები, შვეიცარია, ესტონეთი, უნგრეთი და ა.შ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში დაინერგა თანამედროვე მიდგომები რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებლის გაუმჯობესების მიმართულებით. კერძოდ, სამსახურმა შექმნა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა (<https://aris.sao.ge>), რომელიც უზრუნველყოფს აუდიტის ობიექტებთან პროაქტიულ კომუნიკაციას, პროცესების ავტომატიზაციასა და მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის დანერგვას. სისტემაში ასახულია რეკომენდაციებთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ინფორმაცია და ხელს უწყობს გაცემული რეკომენდაციების პრაქტიკაში დროულ დანერგვას.

პარლამენტის საზედამხედველო როლის გაძლიერებისა და აუდიტის რეკომენდაციების შესრულების მიზნით, მნიშვნელოვნად გააქტიურდა თანამშრომლობა პარლამენტთან აუდიტის ანგარიშების

1. ორგანიზაცია და მისი საქმიანობა (გაგრძელება)

განმხილველი სამუშაო ჯგუფის ფორმატში. 2023 წელს სამუშაო ჯგუფმა განიხილა 23 აუდიტის ანგარიში, მათ შორის საანგარიშგებო პერიოდში სახელმწიფოს ცენტრალურ დონეზე ჩატარებული ყველა ფინანსური, 6 შესაბამისობისა და 6 ეფექტიანობის აუდიტები (2022: 30 აუდიტის ანგარიში, მათ შორის სახელმწიფოს ცენტრალურ დონეზე ჩატარებული ყველა ფინანსური, 8 შესაბამისობისა და 15 ეფექტიანობის აუდიტები).

თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ, სამსახურის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. უსაფრთხო საინფორმაციო ტექნოლოგიური გარემოს ჩამოყალიბებით, აუდიტის სამსახურმა დანერგა კონტროლის ისეთი სისტემები, რომლებიც პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციურ განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სხვა ქვეყნების უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტებთან (აშშ, შვედეთი, გერმანია, ჰოლანდია, ლატვია, პოლონეთი, ლიეტუვა, სლოვენია და სხვა), საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან განხორციელებულმა თანამშრომლობამ. დონორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით, როგორებიცაა: EU (European Union), GIZ (Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit), WB, USAID სხვადასხვა დროს წარმატებით განხორციელდა მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი, რომლებიც მიზნად ისახავდა სამსახურის როგორც აუდიტორული, ასევე არააუდიტორული საქმიანობის მიმართულებების გაძლიერებას. საჯარო სექტორის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისა და უკეთესი პრაქტიკის გაზიარების მიზნით, სამსახური უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) და მისი რეგიონული გაერთიანებების (EUROSAI, ASOSAI) აქტიური წევრია. INTOSAI, EUROSAI და ASOSAI წარმოადგენენ ავტონომიურ, დამოუკიდებელ და აპოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც ხელს უწყობენ საჯარო აუდიტის მიმართულებით დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, როგორც საერთაშორისო, ასევე რეგიონულ დონეზე.

2022 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასება განხორციელდა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობის შეფასების ჩარჩოს - SAI-PMF¹ მეთოდოლოგიის საშუალებით. შეფასება გააკეთა დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფმა OECD-ისა და ევროკავშირის SIGMA-ს პროექტის მხარდაჭერით. შეფასების შედეგების გათვალისწინებითა და ახალი გენერალური აუდიტორის ხედვით, სამსახურმა შეიმუშავა 2023-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის სტრატეგიულ მიზნებში ასახულია ხუთწლიან პერიოდში მისაღწევი შედეგები და მათი მიღწევის გზები.

სამსახურის განვითარების ძირითადი მიმართულებები წარმოდგენილია 2023-2027 წლების სტრატეგიულ გეგმაში, რომელიც ასახავს სამსახურის მისიას, ხედვას, ძირითად ღირებულებებს და ეყრდნობა ხუთ სტრატეგიულ მიზანს: (1) დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება (2) მაღალხარისხიანი აუდიტორული საქმიანობით საჯარო ფინანსების მართვის სისტემის გაუმჯობესება (3) ძირითად პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერება (4) შიდა მმართველობის სისტემის გაძლიერებით ეფექტიანობის ამაღლება (5) თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

¹ <https://www.idi.no/work-streams/well-governed-sais/sai-pmf>

1. ორგანიზაცია და მისი საქმიანობა (გაგრძელება)

2018-2023 წლებში არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სამსახურის დამოუკიდებლობისა და მანდატის განმტკიცების მიმართულებით. 2018 წლიდან ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია და „სახელმწიფო აუდიტის

სამსახურის შესახებ“ კანონმა შეიძინა ორგანული კანონის სტატუსი. ასევე, სამსახურს მიენიჭა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი პირდაპირი მიმართვის უფლება. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური კონტროლის განხორციელება მსოფლიოს ოთხი უმსხვილესი კერძო აუდიტორული კომპანიის მიერ.

აუდიტორული საქმიანობის კუთხით, აღსანიშნავია:

- განახლდა ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტების მეთოდოლოგიები, რითაც ისინი კიდევ უფრო დაუახლოვდა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო სტანდარტებს (ISSAIs);
- სრულად დაინერგა აუდიტის მართვის სისტემა (AMS);
- შემუშავდა და დაინერგა აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმომხილველთა სისტემა;
- ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელი გაიზარდა 2018 წელს 81%-დან 2023 წელს 89%-მდე;
- დაინერგა აუდიტის ახალი მიმართულება - უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი, რომლის ხელს უწყობს სფეროში არსებული სისტემური ხასიათის ხარვეზების აღმოჩენასა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას;
- ეფექტიანობის აუდიტების წილი მთლიან აუდიტორულ საქმიანობაში გაიზარდა 2018 წელს 13%-დან 2023 წელს 19%-მდე;
- ჩატარდა USAID-ისა და მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტები;
- დაინერგა საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული თანამშრომელთა შეფასების სისტემა, შემუშავდა თანამშრომელთა მუდმივი პროფესიული და კარიერული განვითარების გეგმა;
- შეიქმნა ეთიკის კომისია, განახლდა ეთიკის კოდექსი და შემუშავდა ეთიკის სახელმძღვანელო;
- შემუშავდა არაერთი პოლიტიკა სამსახურის ინფორმაციული უსაფრთხოების გაუმჯობესების კუთხით.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში ("ლარი"), რომელიც წარმოადგენს ანგარიშგების ვალუტას და ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ ტრანზაქციებს.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ნაშთების წარმოსადგენად გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

ვალუტა	საანგარიშგებო წელი	საანგარიშგებო წლის წინა წელი
1 დოლარი/ლარი	2.6894	2.7020
1 ევრო/ლარი	2.9753	2.8844

1. ორგანიზაცია და მისი საქმიანობა (გაგრძელება)

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლითა და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის მიხედვით:

69.1. საჯარო მმართველობის ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების ხელშესაწყობად საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა საჯარო რესურსების გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

69.3. სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია.

69.6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება, სტრუქტურა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლი ადგენს:

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს საჯარო მმართველობის ეფექტიანობას და ანგარიშვალდებულებას, საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა საჯარო რესურსების გამოყენებისა და ხარჯვის კანონიერების, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობას, ეროვნული სიმდიდრის, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების საკუთრების დაცვას, აგრეთვე საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას“.

კონსტიტუციითა და ორგანული კანონით განსაზღვრულ ამოცანების შესასრულებლად გენერალური აუდიტორი განსაზღვრავს სამსახურის სტრუქტურას, განვითარების სტრატეგიას და ამტკიცებს წლიური აუდიტორული საქმიანობის გეგმას.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ორგანიზაცია სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ საქმიანობაზე (ერთობლივად „ჯგუფი“).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N 108 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ - ინსტრუქციისა და 2021 წლის 4 თებერვლის N 24 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ - ინსტრუქციის (ერთობლივად „ინსტრუქცია“) შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური ანგარიშგების ახალი ფორმები, წინა (შესადარის) პერიოდთან შედარებით, ითვალისწინებს მონაცემების უფრო მეტად აგრეგირებას ან დეზაგრეგირებას, ამის შესახებ დეტალური განმარტებები წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შესაბამის ნაწილში, კერძოდ, ანგარიშგების ფორმებში შეტანილი ცვლილებების შედეგების განმარტებაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სააღრიცხვო პოლიტიკა ძირითადად ეყრდნობა შემდეგ დოკუმენტებს: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N 108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“.

აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის და სახელმწიფო სექტორის საქმიანობის მარეგულირებელი და აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებული სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნები.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ორგანიზაცია არის მოქმედი და საქმიანობას გააგრძელებს განჭრეტად მომავალში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, გენერალური აუდიტორი არჩეულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2022 წლის სექტემბერში, 5 წლის ვადით და სარგებლობს დამოუკიდებლობის უმაღლესი სტანდარტით.

სამსახურის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2023 წელს, 2025 წლის საბიუჯეტო განაცხადი წარედგინება პარლამენტს 2024 წლის 1 მაისამდე, პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ჯგუფის 2025 წლის ბიუჯეტის შემცირება 2024 წლის დამტკიცებულ ოდენობასთან შედარებით არ იგეგმება (ავტოპარკის განახლებისთვის 2023-2024 წლების ბიუჯეტებში გათვალისწინებული თანხების - თითო მილიონი ლარი თითოეულ წელს - გაუთვალისწინებლად, რაც წარმოადგენდა ერთჯერად, მხოლოდ აღნიშნული მიზნობრიობით გამოყოფილ თანხებს). გამომდინარე აქედან, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ფუნქციონირებადი ერთეულის დაშვება მართებულია.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ჩვეულებრივ ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას, გარდა ორგანიზაციის ადმინისტრაციული შენობებისა (თბილისი, ქ. ქუთაისი, ქ. ბათუმი) და მიწისა, რომლებიც 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის მიზნებისთვის ერთჯერადად შეფასდა სამართლიანი ღირებულებით.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, ორგანიზაცია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

კონსოლიდაციის პრინციპები

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლებისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატის და მის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ ანგარიშგებებს.

კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შიდა ოპერაციებით წარმოშობილი ტრანზაქციები ელიმინირებულია.

მატერიალური მარაგები და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები

მატერიალური მარაგები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ღირებულებით, რომელიც მოიცავს მათ შეძენასთან, წარმოებასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს. მოკლევადიან აქტივებში აისახება საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული სტრატეგიული მარაგები, ნედლეული და მასალები, დაუმთავრებელი წარმოება, მზა პროდუქცია, გასაყიდად შეძენილი საქონელი და სხვ. ასევე მცირეფასიანი აქტივები - მრავალჯერადი გამოყენების ტექნიკა, ინვენტარი და მოწყობილობა - რომლებიც არ აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითადი აქტივების აღიარების კრიტერიუმს (500 ლარზე ნაკლები ღირებულებისა და გამოიყენება ერთ წელზე მეტი ვადით).

მარაგები თავდაპირველი აღიარებისას აისახება თვითღირებულებით.

როდესაც მატერიალური მარაგები შეძენილია არაგაცვლითი ოპერაციის გზით, მათი შეფასება ხდება შეძენის თარიღისთვის არსებული სამართლიანი ღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ მარაგები აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თუ მარაგები განკუთვნილია უსასყიდლოდ ან ნომინალური ღირებულებით გასანაწილებლად ან ასეთი მარაგების/საქონლის წარმოებისათვის, მარაგების ეს კლასი აისახება თვითღირებულებასა და მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულებას შორის უმცირესით.

მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულება არის ის ღირებულება, რომელსაც ერთეული გაიღებდა აქტივების მოსაპოვებლად ანგარიშგების თარიღისათვის.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი ოპერირების რეჟიმში შეფასებით დადგენილი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისათვის, გაყიდვის, გაცვლის და განაწილებისათვის შეფასებით დადგენილი საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულებისა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულების დადგენისას, ასევე, არაგაცვლითი ოპერაციის შემთხვევაში მიღებული ისეთი მატერიალური მარაგების შეფასებისას, რომელთაც ღირებულება არ გააჩნიათ, მატერიალური მარაგების სამართლიანი ღირებულება დგინდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სანდო ინფორმაციის საფუძველზე.

მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების მოხმარება აღირიცხება ხარჯად, როდესაც ისინი გადადიან მოხმარების ეტაპზე ჯგუფის ჩვეულებრივი ოპერაციების მიმდინარეობისას. მარაგების ღირებულება გამოითვლება ინდივიდუალური დანახარჯების სპეციფიური იდენტიფიკაციის მეთოდით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

გადახდილი ავანსი

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ. სხვა შემთხვევაში გადახდილი ავანსები კლასიფიცირდება მოკლევადიან აქტივად. აქტივების (ძირითადი მატერიალური/არამატერიალური, მცირეფასიანი აქტივები და მარაგები) შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის მათ საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ მათზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები ჩამოიწერება ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში (ნამეტში/დეფიციტში) მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები/მომსახურება არ იქნება მიღებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და გაუფასურების ზარალი აღიარდება შესაბამისი წლის ნამეტში/დეფიციტში.

ძირითადი აქტივები

ძირითადი აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია და შეფასებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა ორგანიზაციაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდის ნამეტში ან დეფიციტში, რომელშიც წარმოიშვა.

ძირითადი აქტივების თვითღირებულება წარმოადგენს აღიარების თარიღისთვის ფულადი სახსრებით გადასახდელი ფასის ეკვივალენტს (შესყიდვის ფასს, ასევე ყველა იმ დანახარჯს, რაც დაკავშირებულია შეძენასთან, საკუთრების უფლების მოპოვებასთან და ექსპლუატაციაში შესვლასთან), ან არაგაცვლითი ოპერაციისას მითითებული ძირითადი აქტივების შემთხვევაში, აღიარების თარიღისთვის დადგენილ მის სამართლიან (რეალურ) ღირებულებას. ამასთან, თუ გადახდა გადავადებულია და გადავადების პირობები სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ სხვაობა ფულადი სახსრების გადასახდელი ფასის ეკვივალენტსა და მთლიანად გადასახდელ თანხას შორის აღიარდება, როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში.

ძირითადი აქტივების ცვეთის გაანგარიშებისთვის და მისი აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვისთვის გამოიყენება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ - ინსტრუქცია (შემდგომში - ინსტრუქცია). ძირითადი აქტივების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოყენებულია წრფივი მეთოდი, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვისათვის გამოყენებული ცვეთადი თანხა განისაზღვრება როგორც ძირითადი აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასება განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას (გარდა ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების მინიმალური ვადებისა, რაც განსაზღვრულია ზემოაღნიშნულ ინსტრუქციაში). ჯგუფის ხელმძღვანელობა აფასებს ნარჩენ მოხმარების ვადებს აქტივების მიმდინარე მდგომარეობის მიხედვით, რადროსაც გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: აქტივების მოსალოდნელი მოხმარება, ფიზიკური მოხმარება, ცვეთა და ა.შ.

ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები:

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	100
სხვა ნაგებობები	20-26
ავტო	10-15
საოფისე ინვენტარი და ტექნიკა	2-20
კომპიუტერული ტექნიკა და კომუნიკაცია	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	8-10

თითოეული პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება ნამეტში ან დეფიციტში, თუ ის ჩართული არ არის სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითად აქტივებს ცვეთა ერიცხება სისტემატურ საფუძველზე, ერთეულის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული მიზნებისა და დანიშნულების მისაღწევად, სამუშაო მდგომარეობაში მოყვანიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონმდებლობის, ხელშეკრულების ან/და მოცემული აქტივის ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად აღნიშნული სხვაგვარადაა განსაზღვრული.

ცვეთის დარიცხვისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის წელს აქტივს ცვეთა ერიცხება წლის განმავლობაში ერთეულში მუშა მდგომარეობაში ყოფნის ვადის პროპორციულად, ხოლო აღიარების შეწყვეტის წელს – წლის განმავლობაში ერთეულში ყოფნის ვადის პროპორციულად – თვეების მიხედვით.

ცვეთის პროპორციული დარიცხვისათვის გამოიყენება თვეების მიხედვით დარიცხვის მეთოდი. არასრული თვეების შემთხვევაში გამოიყენება დამრგვალება შემდეგი წესით: 15 რიცხვამდე შემოსულ აქტივებს ცვეთა ერიცხებათ შემოსვლის თვიდან, ხოლო 15 რიცხვიდან შემოსულებს – მომდევნო თვიდან.

ცვეთადი აქტივის ნარჩენი (სალიკვიდაცო) ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება და თუ მოსალოდნელი შედეგები წინა შეფასებებისაგან განსხვავდება, ცვლილებები ერთეულის აღრიცხვა-ანგარიშგებაში აისახება სხვას-ების მოთხოვნების შესაბამისად, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.

ძირითადი აქტივების აღიარება წყდება გაყიდვის/გადაცემის შემთხვევაში, ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის/მომსახურების პოტენციალის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი აქტივის ობიექტის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აქტივის აღიარების შეწყვეტისას ჩაირთვება ნამეტის ან დეფიციტის ნაწილში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის გაანგარიშებისთვის და მისი აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვისთვის გამოიყენება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ - ინსტრუქცია.

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარების შემდგომ აისახება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რაც გულისხმობს ყოველი წლის ბოლოს არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებით ასახვას ფინანსურ ანგარიშგებაში. არაგაცვლითი ოპერაციებით არამატერიალური აქტივების საჯარო სექტორის ერთეულიდან მიღებისას, არამატერიალური აქტივები ფასდება გადმოცემი ერთეულის მიერ ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული თვითღირებულების ოდენობით ან ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებული სხვა თანხით.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება. ყველა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება ადასტურებს თუ არა მოვლენები და პირობები, რომ მოცემულ აქტივს კვლავ განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია. თუკი ასეთი რამ არ დასტურდება, აქტივის განუსაზღვრელი მომსახურების ვადის შეცვლა განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადით ერთეულის აღრიცხვა-ანგარიშგებაში აისახება სსბასს-ების მოთხოვნების შესაბამისად, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.

განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია დაერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის პროპორციულად, თუ სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა შესაძლებელია. თუ ახალ ამორტიზირებად აქტივთან დაკავშირებით ერთეულს არ შეუძლია სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენა, ასეთი აქტივებისათვის სასარგებლო მომსახურების ვადად განისაზღვრება 10 წელი. ექსპლუატაციაში მყოფი ამორტიზირებადი აქტივების მიღების შემთხვევაში, თუ ერთეულს არ შეუძლია სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენა, სასარგებლო მომსახურების ვადად შეიძლება განისაზღვროს 10 წელზე ნაკლები.

ცვეთის პროპორციული დარიცხვისათვის გამოიყენება თვეების მიხედვით დარიცხვის მეთოდი. არასრული თვეების შემთხვევაში გამოიყენება დამრგვალება შემდეგი წესით: 15 რიცხვამდე შემოსულ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ შემოსვლის თვიდან, ხოლო 15 რიცხვიდან შემოსულებს - მომდევნო თვიდან.

არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვისათვის გამოყენებული ამორტიზირებადი თანხა განისაზღვრება როგორც არამატერიალური აქტივის თვითღირებულებას ან ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულ სხვა თანხას გამოკლებული ნარჩენი (სალიკვიდაცო) ღირებულება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც ჯგუფი გახდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. ტრანზაქციული ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება შეძენას ან ფინანსური აქტივისა და ვალდებულებების (არ გულისხმობს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით აღიარებას ნამეტში/დეფიციტში) გამოშვებას, შესაბამისად ამცირებს ან ზრდის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების რეალურ ღირებულებას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივები

ორგანიზაციის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფულადი სახსრები, სხვა მოთხოვნები და სხვა ფინანსური აქტივები.

საბიუჯეტო სახსრების ფინანსური აქტივების კონტროლს და მის განკარგვას ახორციელებს სახელმწიფო ხაზინა, რის გამოც სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე არსებული ორგანიზაციები წარუდგენენ მოთხოვნას (დებიტორული დავალიანება ხაზინის მიმართ) სახელმწიფო ხაზინას დაფინანსების თაობაზე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს: ფულად სახსრებს სალაროში; მიმდინარე ანგარიშებს ბანკში და ფულადი სახსრების ეკვივალენტებს.

ფულადი სახსრები სალაროში მოიცავს: ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში და ნაღდ ფულს უცხოურ ვალუტაში.

მიმდინარე ანგარიში ბანკში მოიცავს: ხაზინის ერთიან ანგარიშს ეროვნულ ბანკში, ხაზინის სავალუტო ანგარიშს ეროვნულ ბანკში, ხაზინის ანგარიშებს კომერციულ ბანკებში და საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშებს კომერციულ ბანკებში.

ხაზინის ერთიანი ანგარიში ეროვნულ ბანკში მოიცავს: სახელმწიფო ბიუჯეტის ფულად სახსრებს, დეპოზიტებს ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში, დეპოზიტებს ხაზინაში უცხოურ ვალუტაში და სხვა ანგარიშებს ხაზინაში.

საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშები კომერციულ ბანკებში მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიშს კომერციულ ბანკში ეროვნულ ვალუტაში; საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიშს კომერციულ ბანკში უცხოურ ვალუტაში და საბიუჯეტო ორგანიზაციის სხვა ანგარიშს კომერციულ ბანკში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ მაშინ, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა ამოიწურება ან გაუქმდება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ორგანიზაციის ფინანსურ ვალდებულებას წარმოადგენს სხვა კრედიტორული დავალიანებები, რომლებიც აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულებების აღიარებას მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფის ვალდებულებები გათავისუფლებულია, გააუქმებულია, ან იწურება. სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ საფასურს შორის აღიარდება ნამეტში/დეფიციტში.

წმინდა აქტივები/კაპიტალი

წმინდა აქტივები/კაპიტალი მოიცავს: კაპიტალში შენატანის, გაუნაწილებელი ნამეტის/დეფიციტის, პერიოდის ნამეტის/დეფიციტის თანხების ანგარიშებს და რეზერვებს.

კაპიტალში შენატანი მოიცავს კაპიტალად კლასიფიცირებულ არაფინანსურ და ფინანსურ აქტივებს.

გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი მოიცავს გაუნაწილებელ ნამეტს/დეფიციტს, როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის.

საანგარიშგებო პერიოდის ნამეტი/დეფიციტი მოიცავს პერიოდის ნამეტს/დეფიციტს, როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის.

რეზერვები მოიცავს ინვესტირებულ ერთეულში გადაფასების ან კურსთაშორის სხვაობის შედეგად კაპიტალის ზრდის/კლების მონაცემებს.

ბიუჯეტიდან დაფინანსება

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ანგარიშზე აღირიცხება ჯგუფის ბიუჯეტით განსაზღვრული გადასახდელების დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრები (საბიუჯეტო სახსრები, კრედიტები და გრანტები). საბიუჯეტო დაფინანსების ანგარიშები გადაიხურება გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტის ანგარიშზე. ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ასიგნებების ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯების შესაბამისი მოცულობით. ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში მიღებული დაფინანსება ორგანიზაციების მიერ აღირიცხება საკასო მეთოდით. მესამე პირის მიერ განხორციელებული გადახდები, ორგანიზაციის მიერ სააღრიცხვო ჩანაწერებში და ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება.

თანამშრომელთა მოკლევადიანი ანაზღაურება

თანამდებობრივი სარგო, ანაზღაურებადი შვებულება, წოდებრივი (საკლასო) დანამატი, სახელფასო დანამატი, ფულადი ჯილდო და სოციალური ანაზღაურება (საავადმყოფო ფურცელი) ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ.

თანამშრომელთა მოკლევადიან ბენეფიტებთან დაკავშირებით აღიარებული ვალდებულებები აისახება შესაბამისი მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი ბენეფიტების არადისკონტირებული ოდენობით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

სავალუტო ოპერაციები

სავალუტო ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ტრანზაქციის დღეს მოქმედი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კრედიტორები ან დებიტორები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის აისახება ამ დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. საკრედიტო დავალიანების დაფარვით ან პერიოდის განმავლობაში თავდაპირველად ასახულისგან განსხვავებული კურსით გადაანგარიშებისას წარმოშობილი სხვაობები შემოსავალში ან ხარჯში აღიარდება მათი წარმოშობის პერიოდში.

შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან

შემოსავლის შეფასება ხდება მისაღები ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის სამართლიანი ღირებულებით, რომელიც არ შეიცავს შეღავათებს, ფასდაკლებებსა და დამატებითი ღირებულების გადასახადს (შემდგომში - დღგ).

მომსახურებიდან შემოსავალი აღიარდება ეტაპობრივად, ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა.

შემოსავალი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც ხდება მომსახურების გაწევა და მიეკუთვნება იმ პერიოდს, როცა მოხდა მომსახურების მიწოდება.

მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით. შემოსავლის თანხის ოდენობა მისაღები ფულადი სახსრების ტოლია. იმ შემთხვევაში, როცა ფულის შემოსვლა ერთეულში ყოვნდება, ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით მისაღები თანხების დისკონტირება არ ხდება.

მიზნობრივი გრანტები

მიზნობრივი გრანტის დაფინანსების აღრიცხვა ხდება საერთაშორისო და უცხო ქვეყნის ორგანიზაციასთან გაფორმებული შეთანხმების პირობების შესაბამისად. პირობითი შეთანხმების შემთხვევაში მიღებული მიზნობრივი გრანტები, აღირიცხება, როგორც მოთხოვნა დონორის მიმართ მისაღებ თანხაზე და ვალდებულება დონორის მიმართ, შეთანხმებით დადგენილი მოვალეობის შესრულების დადასტურების შემდგომ შემოსავლად აღიარდება თანხა საკასო ხარჯის მოცულობით, ხოლო უპირობო და შეზღუდვით გაფორმებული შეთანხმების შემთხვევაში გრანტი მიღებისთანავე აღიარდება, როგორც შემოსავლები გრანტებით.

ანგარიშგების ფორმებში შეტანილი ცვლილებების შედეგები

2023 წელს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების ფორმაში შეიცვალა მიდგომა პერსონალისა და სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯის და მოსაკრებლების მიმართ და აისახება არა „შიდა ტრანსფერით ხარჯად“ -018 სტრიქონი, არამედ „ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯი“ - 017 სტრიქონი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

აღნიშნული ცვლილება წარმოდგენილია ქვევით ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების ფორმის ამონარიდის სახით:

	დასახელება	შენიშვნა	წელი		2022 წლის ანგარიშგების მონაცემები	
			2023 წ სულ	2022 წ სულ		
017	ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯი	N17 ა	337,584	338,064	018 „შიდა მიმდინარე ტრანსფერით ხარჯი“	338,064

კრიტიკული სააღრიცხვო დაშვებები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს.

შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს, რომელთა გამოყენება მართებულად მიიჩნევა. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირებას ეფექტი აქვს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

სააღრიცხვო პოლიტიკებში გამოყენებული კრიტიკული შეფასებები და გაურკვევლობის შეფასების ძირითადი წყაროები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, განმარტებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების იმ ელემენტების მომცველ განმარტებებში, რომლებთანაც ისინი არის დაკავშირებული.

ორგანიზაციის მიერ რეგიონში ოფისების გახსნის დროს, ჯგუფის ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო პოტენციური ობიექტების სიდიდე, თანამშრომელთა რაოდენობა და გეოგრაფიული სიახლოვე. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ რეგიონში არსებული აქტივები შესაბამისობაშია ორგანიზაციის მიმდინარე მოთხოვნებთან და სამომავლო, სტრატეგიულ გეგმებთან და შესაბამისად ადგილი არ აქვს აქტივების მიერ მიწოდებული მომსახურების მოთხოვნის ან საჭიროების მნიშვნელოვან, გრძელვადიან ვარდნას და მითუმეტეს აქტივების მიერ მიწოდებული მომსახურების მოთხოვნის ან საჭიროების სრულ ან თითქმის სრულ შეწყვეტას, რაც შესაძლოა აღნიშნული აქტივების გაუფასურების ერთ-ერთი ინდიკატორი გამხდარიყო.

4. ფულადი სახსრები და ეკვივალენტები

შენიშვნა N2

2023 და 2022 წლებში სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტს კომერციულ ბანკში სარგებლის მიღების მიზნით გააჩნია მიმდინარე ანგარიშზე თანხები. ინსტიტუტმა დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით ჩაატარა ბაზრის კვლევა ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ ყველა ბანკში. საუკეთესო პირობები წარმოადგინა სს „ლიბერთი ბანკმა“, შესაბამისად ინსტიტუტმა საკუთარი სახსრები განათავსა სს „ლიბერთი ბანკი“-ს მიმდინარე ანგარიშზე. სს „ლიბერთი ბანკს“ Fitch Ratings - ის მიერ მინიჭებული აქვს „B+“ (2022: „B“) საკრედიტო რეიტინგი. ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობის მიხედვით, მიმდინარე ანგარიშზე საპროცენტო განაკვეთია 9.4% (2022: 9.4%), სადაც განთავსებულია 550,000 ლარი, ხოლო ვადიან ანგარიშზე - 11,0%, სადაც განთავსებულია 100,00 ლარი. ანგარიშზე პროცენტი ირიცხება თვეში ერთხელ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

4. ფულადი სახსრები და ეკვივალენტები (გაგრძელება)

სტრუქტურის კოდი	დასახელება	საანგარიშ გებო პერიოდის საბოლოო ნაშთი	წინა საანგარიშგებ პერიოდის საბოლოო ნაშთი
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში			
010	ხაზინის ერთიანი ანგარიში, მათ შორის	-	-
020	სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები ეროვნულ ვალუტაში	-	-
030	სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	-	-
040	სახელმწიფო ბიუჯეტის არასაბიუჯეტო (საკუთარი) ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	-	-
050	ავტონომიური რესპუბლიკების სახსრები ეროვნულ ვალუტაში	-	-
060	ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტის საბიუჯეტო ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	-	-
070	ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტის არასაბიუჯეტო (საკუთარი) ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	-	-
080	მუნიციპალიტეტების სახსრები ეროვნულ ვალუტაში	-	-
090	მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის საბიუჯეტო ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	-	-

სტრუქტურის კოდი	დასახელება	საანგარიშგებ პერიოდის საბოლოო ნაშთი	წინა საანგარიშგებ პერიოდის საბოლოო ნაშთი
100	მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის არასაბიუჯეტო (საკუთარი) ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	-	-
110	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	-	-
120	სხვა ანგარიშები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	-	-
130	ფულადი სახსრები საღაროში ეროვნულ ვალუტაში	-	-
140	კომერციულ ბანკებში ფულადი ნაშთები ეროვნულ ვალუტაში	650,000	500,000
150	სულ ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	650,000	500,000
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში			
160	ხაზინის ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	-	-
170	ხაზინის სავალუტო ანგარიში	-	-
180	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	-	-
190	ფულადი სახსრები საღაროში უცხოურ ვალუტაში	-	-
200	კომერციულ ბანკებში ფულადი ნაშთები უცხოურ ვალუტაში	-	-
210	სულ ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	-	-
ფულადი სახსრების ეკვივალენტები			
220	სახელმწიფო ხაზინის მიერ 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებზე (ანაბრებზე) ეროვნულ ვალუტაში განთავსებული ფულადი სახსრები	-	-
230	ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების მიერ 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებზე (ანაბრებზე) ეროვნულ ვალუტაში განთავსებული ფულადი სახსრები	-	-
240	ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებისა და არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირების მიერ 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებზე (ანაბრებზე) ეროვნულ ვალუტაში განთავსებული ფულადი სახსრები	-	-
250	ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების მიერ 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებზე (ანაბრებზე) ეროვნულ ვალუტაში განთავსებული ფულადი სახსრები	-	-
260	სულ ფულადი სახსრების ეკვივალენტები	-	-
270	სულ ფულადი სახსრები და ეკვივალენტები	650,000	500,000

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

5. მიმდინარე ინვესტიციები და მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები

შენიშვნა N2ა

ა) მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები და მოთხოვნები არის ის მოთხოვნები, რომელიც ინსტიტუტს წარმოეშვა 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოადგენს ფულადი სახსრების ნაშთს ხაზინაში და საგადასახადო დებიტორულ დავალიანებას.

ბ) მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები და მოთხოვნები ასევე წარმოადგენს მიზნობრივი გრანტის ნაშთს.

გ) ჯგუფს არ აქვს მიმდინარე ინვესტიციები.

სტრუქტურის კოდი	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი			წინა საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი		
		მთლიანი საბალანსო ლირებულება	აკუმულირებული გაუფასურების ზარალი/საგადასახადო მოთხოვნების ანაზღაურებები	საბალანსო ლირებულება	მთლიანი საბალანსო ლირებულება	აკუმულირებული გაუფასურების ზარალი/საგადასახადო მოთხოვნების ანაზღაურებები	საბალანსო ლირებულება
მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები და მოთხოვნები							
070	სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	50,340	-	50,340	112,175	-	112,175
080	ხაზინის მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	-	-	-	-	-	-
090	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ	50,340	-	50,340	112,175	-	112,175
100	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში	-	-	-	-	-	-
110	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ მიზნობრივი დაფინანსებით და გრანტებით ეროვნულ ვალუტაში	7,960	-	7,960	51,161	-	51,161
120	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში	42,380	-	42,380	61,014	-	61,014
130	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში	-	-	-	-	-	-
140	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ მიზნობრივი დაფინანსებით და გრანტებით უცხოურ ვალუტაში	-	-	-	-	-	-
150	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში	-	-	-	-	-	-

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

5. მიმდინარე ინვესტიციები და მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები (გაგრძელება)

სტრუქტურის კოდი	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი			წინა საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი		
		მოთხოვნი საბალანსო დირექტულობა	აკუმულირებული გაუფასურების ზარალი/საეჭვო მოთხოვნების	საბალანსო დირექტულობა	მოთხოვნი საბალანსო დირექტულობა	აკუმულირებული გაუფასურების ზარალი/საეჭვო მოთხოვნების ანარეზები	საბალანსო დირექტულობა
160	საბიუჯეტო ორგანიზაციების სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ	-	-	-	-	-	-
170	მოკლევადიანი (მიმდინარე) საგადასახადო დებიტორული დავალიანებები	4,044	-	4,044	5,742	-	5,742
180	საშემოსავლო გადასახადი	-	-	-	-	-	-
190	მოგების გადასახადი	1,733	-	1,733	2,875	-	2,875
200	ქონების გადასახადი	2,311	-	2,311	2,867	-	2,867
210	დღგ	-	-	-	-	-	-
220	სააქციზო გადასახადი	-	-	-	-	-	-
230	იმპორტის გადასახადი	-	-	-	-	-	-
240	სხვა გადასახადები	-	-	-	-	-	-
250	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები საპენსიო სქემაში	-	-	-	-	-	-
260	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები დარიცხული პროცენტებით და ჯარიმებით	-	-	-	-	-	-
270	მისაღები დივიდენდები	-	-	-	-	-	-
280	საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	-	-	-	-	-	-
290	მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ	-	-	-	-	-	-
300	მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები არაფინანსური აქტივების გასვლით (გაყიდვით)	-	-	-	-	-	-
310	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები	-	-	-	-	-	-
320	მ. შ მოკლევადიანი (მიმდინარე) ფულადი მოთხოვნები არაგაცვლით ოპერაციებთან დაკავშირებით	-	-	-	-	-	-
330	სულ მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები და მოთხოვნები	54,384	-	54,384	117,917	-	117,917

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

5. მიმდინარე ინვესტიციები და მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები (გაგრძელება)

სტრუქტურის კოდი	დასახელება	მთლიანი საბალანსო ღირებულება				საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი
		საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ნაშთი	საანგარიშგებო პერიოდის გადაანგარიშებულ ი საწყისი ნაშთი	ზრდა	კლება	
მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები და მოთხოვნები						
070	სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	112,175	-	21,439,181	21,501,016	50,340
080	ხაზინის მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	-	-			
090	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ	112,175	-	21,439,181	21,501,016	50,340
100	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში	-	-	20,906,856	20,906,856	-
110	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ მიზნობრივი დაფინანსებით და გრანტებით ეროვნულ ვალუტაში	51,161	-	74,018	117,219	7,960
120	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში	61,014	-	458,307	476,941	42,380
130	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში	-	-	-	-	-
140	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ მიზნობრივი დაფინანსებით და გრანტებით უცხოურ ვალუტაში	-	-	-	-	-
150	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში	-	-	-	-	-
160	საბიუჯეტო ორგანიზაციების სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ	-	-	-	-	-
170	მოკლევადიანი (მიმდინარე) საგადასახადო დებიტორული დავალიანებები	5,742	-	-	1,699	4,043
180	საშემოსავლო გადასახადი	-	-	-		
190	მოგების გადასახადი	2,875	-	-	1,142	1,733
200	ქონების გადასახადი	2,867	-	-	556	2,311
210	დღგ	-	-	-	-	-
220	სააქციზო გადასახადი	-	-	-	-	-

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

5. მიმდინარე ინვესტიციები და მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები (გაგრძელება)

სტრუქტურის კოდი	დასახელება	მთლიანი საბალანსო ღირებულება				საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი
		საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ნაშთი	საანგარიშგებო პერიოდის გადანაწილებული საწყისი ნაშთი	ზრდა	კლება	
230	იმპორტის გადასახადი	-	-	-	-	-
240	სხვა გადასახადები	-	-	-	-	-
250	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები საპენსიო სქემაში	-	-	-	-	-
260	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები დარიცხული პროცენტებით და ჯარიმებით	-	-	-	-	-
270	მისაღები დივიდენდები	-	-	-	-	-
280	საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	-	-	-	-	-
290	მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ	-	-	-	-	-
300	მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები არაფინანსური აქტივების გასვლით (გაყიდვით)	-	-	-	-	-
310	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები	-	-	-	-	-
320	მ.შ მოკლევადიანი (მიმდინარე) ფულადი მოთხოვნები არაგაცვლით ოპერაციებთან დაკავშირებით	-	-	-	-	-
330	სულ მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები და მოთხოვნები	117,917	-	21,439,181	21,502,715	54,383

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

6. მატერიალური მარაგები

შენიშვნა N3

სტრუქტურის კოდი	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი			წინა საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი		
		ღირებულება¹	დაგროვილი ღირებულების შემცირება	საბალანსო ღირებულება	ღირებულება¹	დაგროვილი ღირებულების შემცირება	საბალანსო ღირებულება
010	ნედლეული და მასალები	224,531	-	224,531	250,738	-	250,738
020	სხვა მასალები და მარაგები	224,531	-	224,531	250,738	-	250,738
030	მცირეფასიანი აქტივები	51,822	-	51,822	63,181	-	63,181
060	სხვა დანარჩენი მასალები და მარაგები	172,709	-	172,709	187,557	-	187,557
090	დაუმთავრებელი წარმოება	-	-	-	-	-	-
100	მზა პროდუქცია	-	-	-	-	-	-
110	გაყიდვის მიზნით ფლობილი საქონელი	-	-	-	-	-	-
120	სამხედრო მატერიალური მარაგები	-	-	-	-	-	-
130	სულ	224,531	-	224,531	250,738	-	250,738

2023 წლის ბოლოს ჩატარებული არაფინანსური აქტივების სავალდებულო ინვენტარიზაციის შედეგად სხვაობა ფაქტობრივ და საბუღალტრო მონაცემებს შორის, აგრეთვე დაზიანებული/გამოუსადეგარი აქტივები არ გამოვლენილა.

2022 წლის ბოლოს ჩატარებული არაფინანსური აქტივების სავალდებულო ინვენტარიზაციის შედეგად სხვაობა ფაქტობრივ და საბუღალტრო მონაცემებს შორის არ გამოვლენილა, ხოლო გამოვლენილი დაზიანებული/გამოუსადეგარი აქტივები (ღირებულება 11,488 ლარი) და მარაგში არსებული ჟალუზები (ღირებულება 15,505 ლარი) 2023 წელს შემდგომი განკარგვისთვის გადაეცა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები

